საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით

ოთხშაბათი, 2 თებერვალი 1921 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 13-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 24 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებაში მყოფნი ქალიშვილები: გოგუცა ართმელაძისა, თამარა ნიჟარაძისა, მარუსია ტატიშვილისა; სიძეები: გენერალი დავით ედემის ძე ართმელაძე, ფარმაცევტი თომა ერისტოს ძე ნიჟარაძე და კაპიტანი ბეჟან გიორგის ძე ტატიშვილი, შვილის შვილები: ნინა, ელენა და იოსუშა ართმელაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 5 თებერვალს ახალი სტილით, ნაშუადღევის 3 საათზე სოფელ დიდიჯიხაიშის სერგეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი პირველების—დედისა, მეორენის—სიდედრისა და მესამენის საყვარელის ბებიასი

ბაბილინა მელიტონის ასულის წულუკიძის

სულის მოსახსენებლად (404—1—1)

დიმიტრი ივანეს ძე წულუკიძე, აგრაფინა მიხეილის ასული წულუკიძისა, ნატალია რაჟდენის ასული ნიჟარაძისა და ილიკო ნიკოს ძე წულუკიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 5 თებერვალს ახალი სტილით, ნაშუადღევის 3 საათზე სოფელ დიდი ჯიხაიშის სერგეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დედისა, მეორეს—დედამთილისა, მესამეს—დეიდასი და მეოთხეს—რძალისა

ბაბილინა მელიტონის ასულის წულუკიძის

სულის მოსახსენებლად.

(404—1—1)

მომრიგებელ სასამართლოს მე-9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19 უბნის ყველა მოხელეთ, ერთობის უბნის სახალხო გვარდიის შტაბს და გვარდიელებს, მეორე რაიონის ს. დ. კოლექტივს, ერთობის უბნის კომიტეტს და ყველა იმ პირთ, ვინც ჩვენი ღრმა მწუხარება გაიზიარა, პატივი გვცა და გვანუგეშა ჩვენი საყვარელი

მარკოზ კაციტაძის

დასაფლავების დროს, ულრმეს მადლობას უცხადებენ განსვენებულის მშობლები, ძმები და ბიძები. (413—1—1)

მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც აქვთ გასასყიდი ხორბალი და ქერი სიღნაღისა და თელავის მაზრებში, ნება ეძლევათ გამოიტანონ თფილისს ან სხვა, საქართველოს საზღვრებში, ბაზარზე თავისუფალ ფასებში გასასყიდათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნახევარი გამოსატან ხორბლისა და ქერისა ჩააბარონ ადგილობრივ რწმუნებულთ: ხორბალი — 3.500 მან. და ქერი—1.700 მან. ფუთი. გამოსატანი რაოდენობა ხორბლეულობისა არ უნდა იქნეს ორას ფუთზე ნაკლები. ეს განცხადება ძალაში რჩება ამ წლის პირველ მარტამდი. (ნ. 7—3)

ქიზიყ-კახეთის აქციონერული საზოგადოება „ალზიორა"

ამით აცხადებს აქციონერების საყურადღებოდ რომ ამ წლის თებერვლის 22-ს ქ. თფილისში დილით საათის ათზე მთავარ კანტორაში პლეხანოვის პრ. № 5 დანიშნულია

წლიური კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. მოხსენებები: გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.
2. 1920 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
3. 1921 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. ახალი აქციების გამოშვება.
6. მიმდინარე კითხვები.

შენიშვნა: უკეთუ 22 თებერვალს კრება არ შესდგა მეორე კრება წესდების ძალით დანიშნულია 23 თებ. დილის 10 საათზე კრება კანონიერი იქნება რამდენიც უნდა აქციონერი დაესწრნენ.

გამგეობა.

(396—2—2)

ფოთში

ამ წლის პირველ თებერვლიდან ჟურნალ გაზეთების შეძენა შეიძლება, როგორც თვიურად ხელმოწერით ისე ცალკე ნომრობით ჩვეულებრივს გარდა შემდეგ ახალ ადგილებში:

1. რკინის გზის სადგურის მოსავალს—თაგორ კალანდაძესთან.
2. ბერძნების ქუჩაზე—ბეჟლარ მამალაძესთან.
3. ტრამვაის ცენტრალურ სადგურთან:—ივანე ყურცივთან.
4. დიდ კუნძულზე ტრამვაის უკანასკნელ სადგურთან—არხიპ ლომინაძესთან.

საიდანაც განსაკუთრებით ნავთსადგურის მუშებს შეუძლიან დაუბრკოლებლივ გაზეთების გამოწერა და სარგებლობა. პასუხისმგებლობას კისრულობს აგენტი ხ. ორაგველიძე. (ნ. 5—3)

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს, 2 თებერვალს

სიმფონიური კონცერტი

ზეილიერის მონაწილეობით. ხუთშაბათს, 3 თებერვალს **აბესალომ და ეთერი**, პარასკევს, 4 თებერვალს **კარნავალი** მორდკინის და პოჟიცკის მონაწილეობით. შაბათს, 5 თებერვალს ოპერა მუშებისათვის **დონ-ჟუანი**. დასაწყისი სრულ 8 ს. (ნ. 1—1)

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ შედგენილი ა. წ. 10 თებერვლამდე გამოვა

წლიური კედლის კალენდარი

სუფთათ და სქელ ქაღალდზე დამზადებული და დასურათებული ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა ცხოვრების ეპიზოდებით. დაკვეთა შეიძლება კავშირის ბინაზე პლეხანოვის პრ. № 139.

(ნ. 7—1) გამგეობა.

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეომართა ობლების სრულ აღრიცხვას რისთვისაც საჭიროა

ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისათვის, გარდა ზუგდიდისა. ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40,000 მან. წარმოდგენილ უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიაც ის მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს კავშირის ბინაზე ყოველ დღე ქ. თფილისში, პლეხანოვის პრ. № 139, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

(ნ. 14—1) გამგეობა.

სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი"-ს

გამგეობა ამით აცხადებს, რომ თანახმად წევრთა განცხადებისა და საბჭოს დადგენილებისა საზოგადო კრება გადაიდო მარტის 25 თვეს (ძველი სტილით) ნაცვლად თებერვლის 10 სა ვინაიდან დოლობა ხელს უშლის.

(409—3—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ოთხშაბათს, თებერვლის 2-ს	შაბათს, თებერვლის 5 ს
ჯარისა და გვარდიისათვის	მეხუთედ
სამშობლო ლიტანიით	**სამშობლო**
ხუთშაბათს, თებერვლის 3-ს	კვირას, თებერვლის 6 ს
მეოთხედ	მერვედ
მარიამ მაგდალელი	**ალლუმი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

ახალი ტალახით სამკურნალო

ექიმ

მ. ს ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

ჩვენი პარტიის გამარჯვება

არ არის არც ერთი პარტია, რომელსაც ისე ჰქონდეს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და რომელმაც ისე მკაცრად იცოდეს თავისი ნამოქმედარის კრიტიკა, როგორიც არის სოც. დემოკრატიული პარტია. მაგრამ ის პარტია ცხოველმყოფელი და სიცოცხლის უნარით დაჯილდოებული, რომელმაც თავისი ღვაწლის დაფასებაც იცის, და დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკას დიდი სიხარული ეწვია, ჩვენ არ შეიძლება კმაყოფილების გრძნობით არ ვაღიაროთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ის უდიდესი გამარჯვება, რომელიც გამოიხატა მის იურიდიულად ცნობაში ევროპის სახელმწიფოთა მიერ, არის გამარჯვება, ჩვენი პარტიის მიერ მოპოებული; ეს არის გამარჯვება იმ პოლიტიკური ხაზისა, რომელსაც ასე მტკიცედ და შეუდრეკლად ადგა სოც.-დემოკრატია

რაში მდგომარეობდა ეს პოლიტიკური ხაზი? დღიდან თავისი მოღვაწეობისა სოციალ-დემოკრატიას არც ერთხელ არ დავიწყებია, რომ იგი არის პარტია სოციალისტური, რომ მისი მიზანია სოციალიზმის განხორციელება, სოციალისტური წყობილებისათვის ბრძოლა. ამავე დროს იგი არ ივიწყებდა, რომ იგი არის პარტია დემოკრატიული, რომ სოციალიზმის განხორციელება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მარტო დემოკრატიის საშუალებით, ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილით, მის ხელმწიფების განმტკიცებით. ეს იყო სოც. დემოკრატიის გზა თავიდანვე, მისი ეს ბუნება კიდევ უფრო მკაფიოდ გამომჟღავნდა დღიდან რევოლიუციისა და მეტადრე იმ დღიდან, როდესაც ისტორიულმა მსვლელობამ იგი დააყენა ჩვენი სახელმწიფოს სათავეში.

იმ აღელვებულს ზღვაში, რომელშიაც უხდებოდა ცურვა ჩვენს ახლად შექმნილს სახელმწიფოებრივს გემს, მის კედლებს ეხლებოდა უთვალავი ძალა, რომლებიც ლამობდენ ეს გემი გადაეგდოთ არჩეული გზიდან.

ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა ეს მტრული ძალები. ერთნი ცდილობდენ ჩვენი სახელმწიფო აეცდინათ სოციალისტურს გზისათვის. სოციალიზმია, ჩვენ რომ დაღუპვისაკენ მივყავართ! სოციალიზმია ის გარდუვალი დაბრკოლება, რომელიც გზაზე ელობება ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას! იხსენით ჩვენი სამშობლო სოციალისტურ ექსპერიმენტებისაგან! გაიძახოდენ ნაციონალისტები და გაბატონებული კლასების მეპაირახტრენი.

ჩვენი მტრების მეორე ჯგუფი ლამობდა, რომ ჩვენს სახელმწიფოს დაეტოვებინა დემოკრატიული გზა. ბოლშევიკების მეთაურებით იგი მედგრათ გვეწევოდა უმცირესობის დიქტატურისაკენ და მოითხოვდა, რომ დღევე სოციალისტური წესები შემოგვეღო დეკრეტის საშუალებით. შეუდრეკელის დაჟინებით ებრძოდა ჩვენს პატარა რესპუბლიკას ეს ორი ჯგუფი. გააფთრებული იყო მათი იერიშები. მიუხედავათ ამისა ჩვენი სახელმწიფო დაუღალავათ იგერიებდა ერთსაც და მეორესაც და განაგრძობდა მის მიერ არჩეულს გზას. მას გარკვევით ჰქონდა გათვალისწინებული დღევანდელი მდგომარეობა მთელი მსოფლიოსი და ის, რის მიხწევაც შეეძლება დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობაში. ჩვენს პარტიას მტკიცედ ჰქონდა შეგნებული, რომ ახლო მომავალში მოწინავე ქვეყნებში გაბატონებულ ძალად უნდა გადაიქცეს მუშათა დემოკრატია. ევროპის მუშათა დემოკრატიისაკენ ჰქონდა მას მიპყრობილი თვალი და მის მომავალ გამარჯვებასთან იყო შეფარდებული მისი მოღვაწეობა. სოციალიზმის გზის დატოვება, როგორც ამას მოითხოვდენ რეაქციის მესვეურნი, ეს ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ მიგვეტოვებინა ის ძალა, რომელიც ჩვენის რწმენით, ახლო მომავალში ევროპის პატრონი უნდა გახდეს და რომლის ხმასაც დღევე დიდს ანგარიშს უწევენ გაბატონებული კლასები. მაგრამ სოც.-დემოკრატიას ამავე დროს შეგნებული ჰქონდა ისიც, რომ უმცირესობის დიქტატურა კი არ დააჩქარებდა, პირიქით, დააბრკოლებდა სოციალიზმის საქმეს, რადგან დააქვეითებდა ხალხის კეთილდღეობას, გაანადგურებდა საწარმოო ძალებს, გააფრთხობდა იმ კაპიტალს, რომლის ჩვენის ქვეყნისაკენ მოსვლაც კულტურულად და ეკონომიურად წინ წასწევდა მას. ევროპის მუშათა დემოკრატიის დაუხმარებლად ჩვენი რესპუბლიკა ვერავითარს ყურადღებას ვერ დაიმსახურებდა ევროპაში. ევროპის სახელმწიფოთა მესვეურნი ყრუდ დარჩებოდენ ჩვენდამი, რომ ჩვენს სასარგებლოდ მგრგვინვარე ხმა არ ემაღლებინა სოციალიზმის მეთაურთ, რომლებმაც წარსულ წელს თავის თვალით ინახულეს ჩვენი ქვეყანა და საფუძვლიანად გაეცნენ მის ავ-კარგიანობას და დარწმუნდნენ თუ რა სიმტკიცით მიდის ჩვენი დემოკრატია საერთაშორისო მუშათა დემოკრატიის იდეალისაკენ. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკა ვერ მიაღწევდა ბრწყინვალე გამარჯვებას, რომ გადავარდნილიყო კომუნისტური ექსპერიმენტების ტალღებში, ბოლშევიკური ნგრევა-მტვრევა მოეხდინა და ხიშტებზე დაყრდნობილი დიქტატურის საშუალებით დაეწყო „სოციალიზმის" დამყარება. საბჭოთა სახელმწიფოებისავით განადგურებულ სახელმწიფოებში წარმოება შეუძლებელი ხდება, მწარმოებელი კაპიტალი გაურბის მას და, მაშასადამე, მისდამი მტრულად არის განწყობილი ის სახელმწიფოც, რომელიც დღესდღეობით წარმოადგენს კაპიტალის ბატონობის იურიდიულს გამოხატულებას.

ჩვენი რესპუბლიკის აღიარება de-iure ეს იმის ნიშანია, რომ, ერთის მხრით, ევროპის წარმოებელი კაპიტალი ჩვენს რესპუბლიკაში ხედავს ჭეშმარიტს სახელმწიფოებრივს წესებს და მტკიცე პოლიტიკას, რომელიც შესაძლებლად ხდის ჩვენ ქვეყანაში კაპიტალი ჩაიყაროს. მეორე მხრით, ეს იმის ნიშანია, რომ საერთაშორისო მუშათა დემოკრატია ჩვენს პოლიტიკაში ხედავს იმ პოლიტიკას, რომელსაც მოკლე გზით მივყავართ მის იდეალისაკენ—სოციალიზმისაკენ.

ჩვენი ქვეყნის იურიდიული ცნობა შეუძლებელი გახდებოდა, რომ ჩვენ გველალატნა ჩვენი ორ-არსებიანი ბუნებისათვის და ავყოლოდით რომელსამე იმ ძალას, რომელიც ჩვენს პოლიტიკას გააფთრებით ებრძვის. ამ ძალებს დღესაც არ შეუჩერებიათ თავისი გააფთრებული კვეთება ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მათი გააფთრება იქნება არასდროს ყოფილიყოს ისე ძლიერი, როგორც დღეს. მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებით გამხნევებული და ისტორიის მიერ გამართლებული ჩვენი პარტია მედგრად განაგრძობს არჩეული გზით სიარულს და ვერავითარი მტერი ვერ დაატოვებინებს მას.

თვითმართველობათა არჩევნები

ამ ახლო ხანში უნდა მოხდეს არჩევნები ქალაქების და ერობათა თვითმართველობების მთელ რესპუბლიკაში. საარჩევნო სამზადისი უკვე დაწყებულია და მალეც დასრულდება. არჩევნები მეტად უხერხულ პირობებში ხდება. დიდი ნაწილი იმ მოწინავე ელემენტებისა, რომელიც მუდამ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ არჩევნების ხელმძღვანელობა - გატარებაში—ფრონტზეა: პოლიტიკური და ეკონომიური გართულება, ხომ განსაკუთრებულ ელფერს აძლევს მთელ საარჩევნო კამპანიას. განვლილი ხანა თვითმართველობათა მოღვაწეობისათვის მეტად მძიმე იყო. გარდაუვალი ობიექტიური პირობები იმდენად რთული იყო, იმდენ დაბრკოლებებს ქმნიდა, რომ მისი დაძლევა ელმატებოდა ყოველგვარ ცდას და სუბიექტიურ დიდ სურვილებს. მიუხედავათ ამისა, ჩვენმა თვითმართველობებმა თავის ჩუმი და დაუღალავი მუშაობით გააკეთეს უდიდესი საქმეები და მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სოფლის და ქალაქის ორგანოების მუშაობა-მოღვაწეობას. თქმა არ უნდა, რომ უფრო ხელსაყრელი პირობები ყოფილიყო, მათი მუშაობა ბევრათ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, დახარჯული ზრუნვა და ენერგია უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებდა და სოფლის და ქალაქის მეურნეობაც უფრო კარგათ მოეწყობოდა. ჩვენი მოწინააღმდეგენი ივიწყებდენ რა ყოველსავე ამას, ზოგი შეგნებულათ, ზოგიც შეუგნებლათ, მთელ ნაკლს დღევანდელი თვითმართველობისას სოციალ-დემოკრატიას და მის პოლიტიკას აწერენ და ამ ნიადაგზე პარტიული ანგარიშის გასწორებით თავის გამდნარი ლაშქრის შევსებას ლამობდენ. არა ერთხელ და ორხელ უთქვამთ ტრიბუნიდან, თუ თავიანთ გაზეთებში, რომ მომავალი არჩევნები დაამტკიცებს თუ რამდენათ მიუღებელია ჩვენი ხალხისათვის სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა და საქმიანობა; რომ არჩევნები გარიყავს მართველ პარტიას; რომ ხალხი ზურგს შეაქცევს მენშევიკებს და სხვადასხვა და არა ერთხელ დაგვემუქრებიან კიდეც ამავე ხალხის სახელით. ასეთ დავას პარტიათა შორის მუდამ თვით ხალხი სწყვეტს და ამისთვის უმთავრესი საშუალებაა არჩევნები. და აი, დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება დეპეშა ოზურგეთის ქალაქის არჩევნების შესახებ, საიდანაც ჩვენ ვტყობილობთ, რომ საარჩევნო სიაში შეტანილ 3071 ამრჩეველთაგან არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 1919 კაცს. ე. ი. თითქმის ორმესამედს. აქედან—სოციალ-დემოკრატიას მიუღია 1406 ხმა. დანარჩენ ყველა პარტიებს ერთად 513 ხმა. ოზურგეთი პატარა ქალაქია, მის არჩევნებს შეიძლება არც ისე დიდი მნიშვნელობა ქონდეს არსებითად, მაგრამ, როგორც საარჩევნო ბარომეტრი, ის დამახასიათებელია და, ეჭვი არაა, ის ძალთა განწყობილება, რომელიც გამოამჟღავნა ოზურგეთის არჩევნებმა, საერთო იქნება მთელი რესპუბლიკისათვის. ოზურგეთს ახლო მომავალში სხვა ქალაქები და მაზრები მიჰყვება და ჩვენ დარწმუნებული ვართ სოციალ დემოკრატიის გამარჯვება ყველგან უზრუნველყოფილი იქნება და მით ჩვენი ხალხი ერთხელ კიდევ აღიარებს საქვეყნოთ, რომ ის მიჰყვება იმ პარტიას, რომელმაც იხსნა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი ამდენი გასაჭირისაგან და შეუქმნა ის ფართო სარბიელი, სადაც მას შეუძლია გაშალოს თავის შემოქმედებითი ნიჭი და უნარი და ასე, თავის წვლილი შეიტანოს კაცობრიობის საერთო კულტურულ ოჯახში.

ოზურგეთის გამარჯვება წინამორბედია საერთო გამარჯვებისა მთელ რესპუბლიკაში და ეს ავალებს ჩვენს ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, არ დაჰკარგონ არც ერთი ხმა და არჩევნებში საერთო გამარჯვებით კიდევ უფრო ასწიონ მაღლა დროშა წითელი, დროშა გამარჯვებისა...

განი.

პრესა

გაერთიანებული რეაქციის ორგანო „საქართველო" ხშირად იმოსება საზოგადოების მესვეურის წამოსასხამში. მაგრამ შეუძლებელია აქა-იქ მას სპეკულანტობამ არ წამოჰკრას. ამ გაზეთის უკანასკნელ ნომერში ბ. დარიანი ასეთს უკმაყოფილებას აცხადებს ჩვენი ინტელიგენციის საქციელის გამო:

> „სოციალისტური პროპაგანდის წყალობით ჩვენ ფსიქიურად დავავადმყოფდით. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჩვენს ინტელიგენციაზე. სილატაკე, თავისი პიროვნების უარყოფა დღეს ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას რაღაც მორალური იმპერატივის მოთხოვნილებად მიაჩნია. უდიდესი შეურაცხყოფა თუ გინდათ მიაყენოთ ქართველ ინტელიგენტს, უთხარით მას, რომ ის კარიერას ეძებს და თავის პიროვნებაზე ფიქრობს.
>
> საჭიროა თავი განვითავისუფლოთ ამ ცრუ შეხედულებებიდან. სილატაკეში კარგი არაფერია თავის პიროვნებაზე უარის თქმა უზნეობაა. ადამიანის ზნეობრივი მოვალეობაა განამტკიცოს და გააღრმავოს თავისი პიროვნების შინაარსი".

მაშასადამე ბ. დარიანის აზრით „ცრუ შეხედულება", „უზნეობაა", თუ ჩვენს ინტელიგენციას მსხვერპლად მოაქვს თავისი კეთილდღეობა და საზოგადო სარგებლობისთვის თავის სარგებლობას ივიწყებს. „სილატაკეში კარგი არაფერია", ავტორიტეტულად გვარწმუნებს ბ. დარიანი. მაშ გაუმარჯოს „პიროვნების შინაარსის გაღრმავებას", ე. ი. საკუთარი ჯიბის გასქელებას! Enrichissez-vous!

საქართველოს იურიდიული ცნობა

(საქ. დეპ. სააგენ. ბიულეტენიდან)

წინასწარი მუშაობა აღიარებისათვის.

კონსტანტინოპოლი. 30 იანვ. თანახმად პარიზიდან მიღებულ ცნობებისა საკითხი საქართველოს იურიდიულად ცნობის შესახებ, ერთა ლიგის საერთო ყრილობის დახურვის შემდეგ, დეკემბერში, პირველად ანტანტის სახელმწიფოთა წინაშე ოფიციალურად საფრანგეთმა აღძრა. ინგლისმა და იტალიამ ამის საპასუხოდ შემოიტანეს წინადადება საკითხის გადადების შესახებ. ეს წინადადება შეერთებულმა შტატებმა უარჰყო. შემდეგ, თანახმად ევროპაში მყოფ საქართველოს წარმომადგენლის წინადადებისა, იანვრის დასაწყისში საფრანგეთმა კვლავ აღძრა ეს საკითხი და დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირეთა მთავრობისაგან განეხილათ იგი, თუმცა არსებულ მომენტს ამისათვის მეტად არა-ხელსაყრელად სთვლიდა. იტალია და შემდეგ ინგლისი დასთანხმდნენ დაესვათ აღძრული საკითხი გადასაჭრელათ მომავალ პარიზის კონფერენციაზე. საკითხი საქართველოს აღიარების შესახებ პირველად განიხილეს 24 იანვარს. საკითხი განხილულ იქნა მოკავშირეთა სახელმწიფოების პრემიერ მინისტრების და საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე საქართველოს აღიარება გადაწყდა 26 იანვარს. საქართველოს საგა

პარტიულ ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ კვირას, 6 თებერვალს ყველგან გაიმართოს კრებები, მიტინგები და მანიფესტაციები საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო. ჩვენმა პარტიამ ამ დღესასწაულში უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღოს.

საქართველოს იურიდიული ცნობა—ეს ჩვენი პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებაა. სოციალდემოკრატიის დაუღალავ მუშაობას მიეწერება ის, რომ საქართველო გადაურჩა ანარქიას, რომ მან შეირჩინა რევოლიუციის მონაპოვარი და ცნობილ იქნა საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიან წევრათ.

სამი წელიწადია, რაც ანარქიისა და კონტრ-რევოლიუციის ტალღები ეხეთქება საქართველოს საზღვრებს, მარა ჩვენი დემოკრატიის თავდადებულმა ბრძოლამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუშათა კლასი და მისი პარტია—სოციალ-დემოკრატია, ააცილა მას მრავალი დაბრკოლება და ხიფათი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს გარშემო ჩნდებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები, მარა ისინი მოწინააღმდეგე ძალებთან პირველი შეტაკებისთანავე ეცემოდნენ და ისპობოდნენ. ვერ შეირჩინეს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივობა ვერც ჩრდილო კავკასიის ხალხებმა, ვერც ადერბეიჯანმა და ვერც სომხეთმა.

რა იყო ამის მიზეზი? ამ რესპუბლიკებს მეთაურობდნენ ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც არ ემყარებოდენ ხალხის თვითმოქმედებას, არ იცავდნენ და არ ახორციელებდნენ დემოკრატიის ინტერესებს და შინაურ ცხოვრებაში თამაშობდნენ რეაქციონურ როლს. საგარეო პოლიტიკაში მათ ახასიათებდა მეზობლების მიმართ აგრესივობა, მტრული განწყობილება და სოლიდარობის და შეთანხმების მაგიერ უცხო ძალებზე დაყრდნობის სურვილი. ამიტომ დაეცა ასე ადვილათ ადერბეიჯანი და სომხეთი, ამიტომ შეიქნენ ისინი ანარქის მსხვერპლნი.

ასეთივე ისტორია განმეორდებოდა ჩვენშიაც, რომ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებას სათავეში მოქცეოდნენ ნაციონალისტური პარტიები და ჯგუფები. თავისი შინაური პოლიტიკით ისინი, მსგავსათ მუსავატისა და დაშნაკელების, დაასუსტებდენ საქართველოს შიგნით და მით გარეშე ძალებს დაუადვილებდენ მის დაპყრობას.

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, როგორც მართველი პარტია, შინ და გარეთ ეყრდნობოდა დემოკრატიულ ძალებს. თავისი სოციალური და პოლიტიკური რეფორმებით ის აკმაყოფილებდა ხალხის ფართო წრეებს და მით უკანასკნელთ გულში უნერგავდა რესპუბლიკის სიყვარულს. უცხოეთში მან დააინტერესა საქართველოს რესპუბლიკის ბედით სოციალისტური პარტიები, რომლებმაც ჩვენი საქმე მთელი ქვეყნის მუშათა კლასის საქმეთ გახადეს და საქართველოს შესახებ მთელი ევროპა აალაპარაკეს.

ყოველივე ეს შეეძლო მოემოქმედებია ჩვენში მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

იურიდიული ცნობა ჩვენ გვავალებს უფრო მეტის ენერგიით და წინდახედულობით ვიმუშაოთ ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს გასამაგრებლათ და ასაყვავებლათ. ახლა უნდა დაიწყოს საქართველოში დიდი შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენ ბევრი რამ გვაკლია. ჯერ კიდევ შედარებით სუსტია ჩვენი სახელმწიფო აპარატი, განსაკუთრებით მოუწესრიგებელია ჩვენი ეკონომიური ცხოვრება.

ყოველივე ეს საჭიროა რესპუბლიკის გასამტკიცებლათ. მარა ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის გაგრძელებით. მხოლოდ ამ პოლიტიკას შეუძლია მიანიჭოს საქართველოს და მის ხალხს კეთილდღეობა და საშვალება მისცეს უკეთესი მომავლის დამკვიდრების.

მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის უაღრესათ დემოკრატიული და სოციალისტური პოლიტიკა მიიყვანს საქართველოს მშრომელ ხალხს სრულ გამარჯვებამდი.

მისი წყალობით დაიმკვიდრა საქართველომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა და ეგევე პოლიტიკა მისცემს საშვალებას საქართველოს საპატიო ადგილი დაიჭიროს თავისუფალ ხალხთა თავისუფალ ოჯახში.

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ცენტრალური კომიტეტის სეკრეტარიატი.

რეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა, რომელიც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში განაგრძობდა მუშაობას ამ მიმართულებით, დაუყონებლივ წარადგინა ოფიციალური განცხადება საქართველოს აღიარების შესახებ.

უცხო სახელმწიფოთა მისიებში.

საფრანგეთის უმაღლესი კომისარის შევალიეს განცხადება.

საქართველოში მყოფმა საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა შევალიემ სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით გულწრფელ მილოცვას მივუძღვნი საქართველოს რესპუბლიკას მისი აღიარების გამო, რაც ეს არის მაცნობა მე საქართველოს მთავრობამ. საქართველოს დიდებული და ბრწყინვალე წარსული აქვს, და მე ვუსურვებდი მას, რომ მომავალიც ისეთი ბრწყინვალე ჰქონდეს. წარსულში საქართველოს არაერთხელ უხსნია ევროპა მტრების თავდასხმისაგან. ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ საჭიროების დროს, ევროპამაც აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში. საქართველომ ბევრი უბედურება განიცადა. იგი ახლა ხალხთა ოჯახში დიდი ხნის მძიმე ბრძოლის შემდეგ შედის. ეს ბრძოლა მისი საუკეთესო შვილების სისხლით არის შეღებილი. საფრანგეთის რესპუბლიკა სიყვარულით ეგებება თავის უმცროს დას. იგი შეეცდება ჩამოსწმინდოს მას სისხლის წვეთები. ამ ხნიდან საფრანგეთს სურს დაინახოს საქართველოს სახეზე მხოლოდ შრომის ოფლის წვეთები, რომ შესძლოს მან დაუღალავი შრომით და მომჭირნეობით თავისი მომავლის უზრუნველყოფა და გამაგრება, რითაც იგი (საქართველო) ამავე დროს გაამაგრებს საერთაშორისო მდგომარეობას და ნდობას. მაგრამ ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭირთა მეგობრებისადმი პატივისცემა და ნდობა. რა სიცრუეც არ უნდა გაავრცელონ მათმა საერთო მტრებმა, საფრანგეთისა და საქართველოს რესპუბლიკები ყოველ მხრით მაინც დემოკრატიულ ქვეყნებს წარმოადგენენ. ორივე წინააღმდეგია მილიტარულ რეაქციისა და ძალადობისა, საიდანაც არ უნდა მოელოდეს იგი. სწორედ ამიტომ უნდა იცხოვროს ამ რესპუბლიკებმა ურთი-ერთ სიყვარულით და თანხმობით. მე ძლიერ მასიამოვნა საქართველოს მოქალაქეთა გუშინდელმა მანიფესტაციამ, რომელმაც განმიცხადა საფრანგეთისადმი თავისი სიყვარული. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიარო, რომ საფრანგეთის მონაწილეობა ამ საქმეში მართლაც დიდია. მე ბედნიერათ ვთვლი ჩემს თავს, რომ მე საშუალება მომეცა შემეწყო ხელი საქართველოს ისტორიულ ფაქტის დაჩქარებისთვის და გამოვთქვამ გულწრფელ სურვილს, რომ ამიერ-კავკასიის სხვა სახელმწიფოებიც მოიპოვებენ მშვიდობიანობას და დამოუკიდებლობას. გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საბერძნეთის წარმომადგენლის განცხადება.

საქართველოში მყოფმა საბერძნეთის წარმომადგენელმა სკეფერისმა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობა არის სამართლიანი დაგვირგვინება ქართველი ხალხის დიდი ხნის მოლოდინისა, არსებობისათვის და დამოუკიდებლობისათვის გაწეული სასტიკი ბრძოლის შემდეგ მოვლენილი. საბერძნეთის წარმომადგენლობა ამ ცნობას დიდი სიხარულით შეხვდა და იმედოვნებს, რომ ამიერიდან საქართველოს შეუძლია დამშვიდებით შეხედოს მომავალს და დარწმუნებით შეუძლია გასწიოს წინ, პროგრესისა და აყვავებისაკენ. ეჭვი არ არის, უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს იურიდიულად აღიარების ცნობას საბერძნეთში შეხვდებიან დიდი სიხარულით და თანაგრძნობით, ვინაიდან საბერძნეთი საქართველოს ყოველთვის მეგობრულად ეპყრობოდა. საგარეო მდგომარეობის გამაგრებასთან ერთად საქართველო მოიპოვებს დაუფასებელ უფლებებს და უპირატესობას, ვინაიდან მის სავაჭრო საქმეებს ეძლევა მეტად დიდი მნიშვნელობა და საერთოდ საქართველოს ამიერიდან იურიდიულად ცნობის შემდეგ, სრული დანშვიდებით და დარწმუნებით შეუძლია მიაპყროს მთავარი ყურადღება შინაურ აღშენებლობას. წინეთ უცხოეთის ვაჭრებს ეშინოდათ საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიურ კავშირის დაკავება, ახლა კი, უზრუნველყო რა საქართველომ თავისი საგარეო დამოკიდებულებანი, იგი შესძლებს თავის საგარეო ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობის გამაგრებასაც.

მილოცვები

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო:

არტაანი. არტაანის ოლქის ქართველი მუსლიმანობა დიდი ზეიმით და აღტაცებით ულოცავს სამშობლოს სრულ უფლებიანობას. გრწამდეთ ნაშთნი მამა-პაპათა არ გაქრებიან საქართველოს საკეთილდღეოდ. ვაშა გურჯისტან. მონდობილობით ჯალალ-ბეგ ხიმშიაშვილი, მაისურაძე და მოლლა ჯამზე.

ალპანი. ალპანის თემის ხმოსანთა საბჭო თავის სხდომის დროს აღფრთოვანებული ევროპის მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის სიხარულით აღტაცებული გილოცავთ მიზნის მიღწევას დემოკრატიის საკეთილდღეოდ. გამარჯვება თქვენ და თქვენს მოღვაწეობას. საბჭოს თავმჯდომარე ალავიძე.

ხაშური. ხაშურის თემის ხმოსანთა ყრილობამ მიიღო რა დეპეშა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობისა, აღფრთოვანებით ხვდება ამ ისტორიულ აქტს, იზიარებს მთელი ქართველი ერის სიხარულს და უსურვებს მთავრობას ყველა დაბრკოლებების გადალახვას. საბჭოს თავმჯდომარე სვიმონ ბაბლიძე.

№.. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დარაჯათ მდგომი გვარდიელები სალამს გიძღვნიან და გილოცვენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას. დიდება ქართველ ერს, რომელმაც შესძლო თავის ისტორიულ უფლებების აღდგენა. გაუმარჯოს სახელოვან ბელადს. მესამე ჯგუფის საველე შტაბი.

თფილისი. კახეთის რკინის გზის აქციონერთა საზოგადოების ყრილობა, მოწვეული დღეს, იანვრის 30-ს, უერთდება სრულიად საქართველოს ზეიმს და გილოცავთ თქვენ ერის უბადლო ბელადო დღევანდელ დღესასწაულს, რომელიც ჩვენს სამშობლოს მიენიჭა თქვენი გონიერი პოლიტიკის წყალობით. იყავით ჯანმრთელად და მრავალჟამიერ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პრესა.

„ნორ აშხატავორი“ (№ 4) სწერს:

„ამ აქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის და ამიტომაც მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი მიესალმება ქართველი ხალხის თვითგამორკვევის მისწრაფებათა საბოლოო გამარჯვებას.

„საპასუხისმგებლო და ძნელ დროში მოხდა საქართველოს რესპუბლიკის აღიარება: ამიერ-კავკასიას და ახლო აღმოსავლეთის გარშემო მოგროვილი ძალები ემზადებიან მძაფრი ბრძოლისთვის, რომელთა ტალღები არ შეიძლება არ მოხვდნენ აგრეთვე საქართველოსაც, და საქართველოს მშრომელმა ხალხმა დღეს მეტად, ვიდრე როდისმე უნდა მოიკრიბოს ყველა თავისი ძალა, რომ უხიფათოდ გამოვიდეს ამ საშინელ ტალღებიდან.

„მეორე მხრივ, საქართველოს ხელმძღვანელებისათვის უნდა ცხადი იყოს ის გარემოება, რომ რესპუბლიკის მშვიდი მდგომარეობა უაღრესად დამოკიდებულია ამიერ-კავკასიის ხალხთა და რესპუბლიკათა მდგომარეობაზე და მათთან ერთად მუშაობაზე“...

„მშაკი“ (№ 22) სწერს: „ასე, ქართული სახელმწიფო ამთავრებს თავის საორგანიზაციო საქმეს საერთაშორისო ასპარეზზე და შედის დამოუკიდებელ და თვით-მართველ სახელმწიფოთა ოჯახში.

ზედმეტია ლაპარაკი ამაზე, თუ რამდენათ დიდია ამ ახალი გამარჯვების მნიშვნელობა. იგი ერთხელ კიდევ აშკარად გვიჩვენებს, რომ ქართველმა ხალხმა უდიდესი აღმშენებლობითი ძალა აამუშავა თავისი ეროვნული მიზნების მისაღწევად. ქართველმა ხალხმა მოისურვა ჰქონოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი სამშობლო და მიიღო კიდეც! და როცა ქართველ ხალხს შევადარებთ მის ორ მეზობელს—აზერბეიჯანს და სომხეთს, იმ წამსვე თვალ წინ წამოგვიდგება მათი განსხვავება. ეს განსხვავება ისაა, რომ მხოლოდ ქართველმა ხალხმა მოინდომა თავისი საკუთარი პატრონი და მზრუნველი თითონ ყოფილიყო და შეუპოვრად და შეუდრეკელათ შეჰყვა ამ იდეას. და საბოლოვოდ გაიმარჯვა კიდეც! ამ საბოლოვო გამარჯვების მშვენიერ დღეს ჩვენ გულწრფელად მივულოცავთ. დე, საქართველოს ნორჩი სახელმწიფო გამაგრდეს და აყვავდეს. დე ყველამ დაინახოს, თუ კავკასიის სინამდვილეში ერთმა ერმა, მიუხედავათ მისი სიმცირისა, მიუხედავად გარშემორტყმული ცუდი პირობებისა, როგორ შესძლო შეექმნა კულტურული, თავისუფალი და ბედნიერი სახელმწიფო!

საქართველოს აქვს ეხლა ყველა გარანტიები თავის დამოუკიდებლობისა. გაუმარჯოს საქართველოს!“

„ხორჰურდ“ (№ 23) სწერს: „ამრიგად, ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის მიერ თითქმის სამი წლის განმავლობაში წარმოებული დიპლომატიური და პოლიტიკური მუშაობა სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამიერიდან საქართველო შედის იურიდიულად ცნობილ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოთა ოჯახში.

„საქართველოს ყველა მოქალაქენი, როგორც ერთი კაცი, გაიგებენ ამ ფაქტის დიდ მნიშვნელობას. დღემდე საქართველო ჭეშმარიტად ოაზისი იყო ყოფილ თვალუწვდენელ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე,—ოაზისი, სადაც ცხოვრება ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივ ნიადაგზე ეწყობოდა“...

„ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ საქართველო, რომელმაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან პირველმა მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა, თავის უახლოეს მეზობლების მიმართ აწარმოებს ჭეშმარიტად კეთილ მეზობლურ პოლიტიკას.

26 მაისისა და 27 იანვრის აქტები—ისტორიული აქტებია. ეს აქტები საქართველოს რესპუბლიკას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებენ. საქართველო შესძლებს დაამტკიცოს, რომ მას ესმის პასუხისმგებლობა და რომ მას შესწევს უნარი წაიყვანოს თავისი ისტორიული სახელმწიფოებრივობა მშვიდობიან და მტკიცე აღმშენებლობის გზით“.

ლ. და კ. კაუცკის წერილი*)

სტამბოლი, 8 იანვარი.

ძვირფასო ამხანაგო დოლიძე.

ევროპაში წასვლამდის ჩემს ქმარსა და მე გვინდა კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ყველას, ჩვენზე ზრუნვისთვის. თქვენ და ყველა ძვირფასმა ამხანაგებმა საქართველოში გააკეთეთ ჩვენთვის იმდენათ ბევრი კარგი რამ, რომ ჩვენ ამას თავის დღეში არ დავივიწყებთ.

თქვენი ასეთი კარგი მოპყრობის გამო მართლაც ძნელი გახდა ჩვენი დაშორება თქვენგან. და რაც უფრო ვშორდებით სტუმართ-მოყვარე საქართველოს, მით უფრო ვნაღვლიანდებით, რადგანაც ვგრძნობთ, რომ ჩვენს სამშობლოში, რამდენათაც ვიგულისხმებთ პარტიას, ვერ ვპოვებთ იმ სულიერ სითბოს, რომლითაც შეგვხვდნენ საქართველოში, რომელიც ჩვენთვის მეორე სამშობლოდ გადაიქცა. ამ თბილ გრძნობებს გერმანიაში ველარ ვპოვებთ და ნაღვლიანად მოგიგონებთ თქვენ, რომლებმაც ასეთი მზრუნველობა გამოიჩინეთ ჩვენდამი.

ეხლა, როდესაც ჩვენ ვბრუნდებით გერმანიის დაქსაქსულ პარტიაში, სადაც ძმები მტრობენ და სასტიკად ებრძვიან ერთმანეთს,—ჩვენ უფრო ძლიერათა ვგრძნობთ, თუ რა მშვენიერებაა საქართველოში, სადაც მთლიანი პარტია ცოცხლობს და მოქმედებს, როგორც ერთი დიდი ოჯახი და სადაც მთლიანობა აადვილებს და აჩქარებს მუშაობას. რა სიამოვნებით მოგიგონებთ თქვენ და როგორი დაბეჯითებით მივუთითებთ გერმანელ ამხანაგებს თქვენ მაგალითზედ.

და როდესაც ჩვენ ამ ახლო ხანში კვლავ მოვალთ თქვენთან, რაც ასე გვწადია და რის იმედიც გვაქვს, მთელი ჩვენი არსებით გისურვებდით კვლავ გვენახოთ თქვენს ბედნიერ, მშვიდობიან საქართველოში მთლიანნი და ძალ-ღონით ავსებნი.

კიდევ ერთხელ გმადლობთ და ათასჯერ გესალმებით ყველას, ყველა თქვენგანს!..

ლუიზა და კარლ კაუცკი.

---

*) ეს წერილი მიიღო ამხ. სოლომონ დოლიძემ. რედ.

საქალაქო არჩევნები ოზურგეთში

ოზურგეთი (დეპეშა) ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დასრულდა. საარჩევნო სიაში შეტანილი იყო 3071. მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 1919 კაცმა. პირველმა სიამ—სოციალ-დემოკრატიულმა მიიღო 1406 ხმა; მეორემ—ეროვნულ დემოკრატიულმა—271; მესამემ—სოციალისტ რევოლიუციონერმა—69; მეოთხემ—სოციალისტ-ფედერალისტურმა—173. გავიდა: ხმოსანი სოციალ-დემოკრატი 14, ეროვნულ დემოკრატი 3, სოციალისტ-რევოლიუციონერი 1, სოციალისტ-ფედერალისტი 2.

— —

ცნობა: ძველ საბჭოში იყო სოციალ-დემოკრატი 14 ხმოსანი, სოც.-ფედერალისტი 1 და ეროვნულ დემოკრატი 5.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 თებერვალი.

ფრანგული ცნობები

ტრანსპორტის საკითხი.

ლიონი. 31 იანვარი. მარტის 10 ბარცელონში შესდგება საერთაშორისო კონფერენცია ტრანსპორტის საკითხის განსახილველად.

პოლონეთის სამხედრო შკოლები.

გენერალმა ნისელმა ინახულა პოლონეთში სამხედრო შკოლები.

სფორცა და მილიერანი.

პარიზიდან გამგზავრების წინ გრაფი სფორცამ მილიერანთან გულწრფელათ ასაუბრა.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბალშევიკური).

კრასინის განცხადება.

მოსკოვი. 1 თებ. კრასინი აცხადებს, რომ ინგლისის გავლენიანი წრეები რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას კარგათ უყურებენ. განსაკუთრებით კარგათ ეპყრობა ამ საკითხს ინგლისის კოოპერაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ნედლი მასალის გასაღება ხელსაყრელ პირობებში საზღვარ გარეთ. უთანხმოებას ინგლისსა და რუსეთს შორის იწვევს ის გარემოება, რომ ინგლისი უარს ამბობს ინგლისში მყოფ საბჭოთა ქონების ხელუხლებლობის გარანტიაზე. დაბრკოლებას იწვევს აგრეთვე საკითხი ინგლისის საზღვრებში რუსეთის ოქროს შეტანისა (დამახინჯებულია) შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ინგლისისა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებას ამერიკაც აღადგენს. კრასინმა მიაქცია ყურადღება საზღვარ გარეთ გასატან დიდ ძალ ნედლი მასალის დაგროვების საჭიროებას. კრასინის აზრით რუსეთის დასავლეთ ქვეყნებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე დამოკიდებულია სწორეთ ამ ნედლი მასალის დაგროვებაზე.

გერმანული ცნობები

გერმანიის განიარაღების შესახებ.

ნაუენი 31 იან. თანახმად პარიზის კონფერენციის დადგენილებისა გერმანიის სრული განიარაღება გადადებულია 15 მარტამდე: სამოქალაქო გვარდია უნდა დათხოვნილ იქნეს ივნისის 30-თვის. წესიერების დამცველ პოლიციის შემადგენლობაში არ უნდა შედიოდეს 150 ათას კაცზე მეტი. თებერვლის დამლევამდე ყველა ის საბუთები, რომელიც შეეხება ზღვაოსნობას, გერმანიამ უნდა ჩააბაროს მოკავშირეებს. აპრილის დამლევამდე გერმანიამ უნდა განიარაღოს სამარქაფო გემები, უნდა გაანადგუროს ახლად გაკეთებული სამხედრო გემები და აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა გაანადგუროს სუმბარიანები. თანახმად კონფერენციის დადგენილებისა გერმანელები მოწვეულნი იქნებიან ლონდონის კონფერენციაზე. კაბინეტი შეუდგა ნოტის განხილვას. ამ საკითხის შესახებ სიმონსი რეიხსტაგს ვრცელ მოხსენებას გაუკეთებს... (დამახინჯებულია)...

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

თებერვლის 1.

საფრანგეთის სოციალისტთა მანიფესტი.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის მუდმივმა ადმინისტრატიულმა კომისიამ, რომელიც შეიკრიბა ტურის კონგრესის შემდეგ, დაადგინა მიმართოს სოციალისტებს საგანგებო მანიფესტით, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნულია: ბალშევიზმი—ყველაზე უსაშინელესი დიქტატურაა, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება: რუსეთის სოციალისტებისა და ინგლისის მუშათა პარტიის დელეგატების მიერ გამოქვეყნებული ცნობები ამტკიცებენ, რომ რუსეთში არ არსებობს არავითარი თავისუფლება, არ არსებობს გაფიცვათა თავისუფლებაც კი. რუსეთში შრომა მონობის პირობებში მდგომარეობს.

რუსეთი და ფინეთი.

პარიზი. „ტანი“ იუწყება: საბჭოთა რუსეთმა ჰელსინგფორსში თავის წარმომადგენლად ფინვენშტეინი (ლიტვინოვი) დანიშნა. საბჭოთა მთავრობამ ფინეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის სურვილი განაცხადა.

სამ. საქ. სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

თფილისი. თებ. 1. იტალიის სამეფო მთავრობის პოლიტიკურმა აგენტმა ბ-ნმა ჩერუტტმა წერილობით აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იტალიის მთავრობამ თავისი ულრმესი თანაგრძნობის დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკისადმი, უკანასკნელის იურიდიულათ ცნობის გამო, გადასწყვიტა ამიერიდან იტალიის პოლიტიკური სააგენტო საქართველოში შესცვალოს ლეგაციით (საელჩოთ), ხოლო პოლიტიკური აგენტის მაგიერ საქართველოს მთავრობასთან სრულუფლებიანი მინისტრი ეყოლიოს. სრულუფლებიან მინისტრად დანიშნულია ბ-ნი ჩერუტტი. (სდს).

ახალი ამბები

დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია შეერთებული სხდომა საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის და საკონტროლო კომისიისა. განარჩევია საჩქარო პარტიული კითხვა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პარ. განახლებული თფილისის კომიტეტის პირველი სხდომა. დღის წესრიგშია პრეზიდიუმის არჩევნები და სხვა სასწრაფო კითხვები.

◆ **თფილისის სამაზრო კომიტეტის** სასწრაფო კრება დანიშნულია კვირას, 6 თებერვალს დილის 9 საათზე. ყველა წევრები უეჭველათ უნდა დაესწრონ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** 3 თებერვალს თფილისის სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში დამფუძნებელი კრების წევრი გ. ნათაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს იურიდიულად ცნობის აქტის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა“.

◆ **თვითმართველობათა არჩევნებისათვის.** მთავრობამ მოისმინა რა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენება საჭირო თანხის გაღების შესახებ, რომლითაც უნდა დაიფაროს ერობათა და ქალაქების მიერ მომავალ არჩევნებისათვის გაღებული ხარჯები, დაადგინა: გადასცეს ერობო და საქალაქო თვითმართველობებს მომავალ საარჩევნო კამპანიის საჭიროებისათვის 15 მილიონი მანეთი იმ პირობით, რომ ნახევარი ამ თანხისა მიეცეს სესხის და ნახევარი დახმარების სახით.

მთავრობამ დაადგინა მიანდოს შინაგან საქმეთა მინისტრს დამუშავება და წარდგენა დამფუძნებელი კრებისათვის პროექტი დეკრეტისა ადგილობრივ თვითმართველობის მიერ შედგენილ სწორ საარჩევნო სიების გარანტიების შესახებ.

◆ **სამხედრო მინისტრმა** უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჯარის ნაწილების დათვალიერების დროს შემჩნეული უწესოებისათვის და რევიზიით აღმოჩენილი ბოროტმოქმედებისათვის სამსახურიდან დაითხოვა სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის პასუხის გებაში მიცემით 11 ოფიცერი, და ჯარისკაცების მოქმედებით შეურაცხყოფისათვის 2, დისციპლინარულად დასაჯა—დაპატიმრებით 12, განკიცხვით 5, გარდა ამისა ბრძანების აუსრულებლობისათვის პასუხის გებაში მიეცა ერთი ჯარის კაცი.

◆ **ფრონტის სასარგებლოთ.** თანახმად 1920 წ. 5 დეკემბრის თფილისის ყველა სახელმწიფო მოსამსახურეთა საზოგადო კრების დადგენილებისა, სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურეთა მიერ გაღებულ იქნა ფრონტის სასარგებლოთ ერთი დღის ჯამაგირი, სულ 37,707 მან., რომელიც უკვე გადაეცა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს.

◆ **ფრონტის სასარგებლოთ.** რედაქციამ მიიღო საქართველოს სახაზინო რკინის გზების შეიარაღებულ დარაჯთა შორის შეკრებილი 17,000 მ.; სამსონ მოსიძესაგან თავის ოჯახში ნინოობას შეგროვილი 8,455 მანეთი.

◆ **ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირების თანამშრომელთა სასურსათო კომიტეტი** წინადადებას აძლევს იმ პირთ, რომელნიც მუშათა მაგიდიდან ღებულობენ სახოვაგეს 81 ჯგუფიდან, მაგრამ პირველი დირიგების დროს არ მიუღიათ ნავთი, მიმართონ ნავთის მისაღებ ორდერისათვის სამი დღის განმავლობაში ამხ. ხირიკს (პროფ. კავშირთა საბჭოში № 42) 11—12 ს.

◆ **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 3 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის ქუჩა № 11), შესდგება საქართველოს ტექნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავენ: 1) პროფ. პ. მელიქიშვილი—„ჩვენი ღვინოები“ და 2) ინჟ. ი. ყიფშიძე—„ტყვარჩელის ქვა-ნახშირი და კონცესია იტალიელებთან“. დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

◆ **ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ** რედაქციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი: „ერთობის“ № 298 ის ახალ ამბავში: („სიტყვიერების დარგის სტუდენტთა საყურადღებოთ“) მომხსენებელი ნ. ბოკუჩავა არის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. ბოკუჩავა და არა ნოე ბოკუჩავა.

◆ **მწერალთა კავშირის საბჭოს კრება.** დღეს, 2 თებერვალს, საღამოს 7 საათზე სახელოვნო ცენტრის ბინაზე (თავისუფლების მოედანი, სასტუმრო „კავკაზი“) შესდგება მწერალთა კავშირის საბჭოს კრება.

შრომის დაჯილდოვება. შრომის სამინისტროსთან არსებულმა შრომის დაჯილდოვების ბიურომ დაადგინა შემოიღოს შრომის დაჯილდოვების სისტემა იმ ფაბრიკებში, ქარხნებში და დაწესებულებებში, რომლებშიაც ნედლი მასალის და პირველ საჭიროების ფაბრიკატების დამუშავება სწარმოებს.

— **მე-ა-თე ქალთა გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭო** ა/წ. 5 თებერვალს ე. ი. შაბათს მე-6 ე რაიონულ მუშათა კლუბში (ბებუთოვის ქ. № 22 მე-4 კომ.) მართავს ფრიად საინტერესო შინაარსის საღამო-წარმოდგენას აღნიშნულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. ბილეთები ამ თავითვე იყიდება კლუბის დარბაზში.

პარტიული კრებები

— კვირას, 6 თებერვალს, დილის 9 ს. დანიშნულია თფილისის სამაზრო კომიტეტის სასწრაფო კრება. ყველა წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ.

3—1

დღეს, ერთობის უბნის საქ. სოც.-დემ. მ. პ. მეორე რაიონის ქვე კოლექტივის ჩვეულებრივი კრებაა დანიშნული. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 2 თებერვალს საღ. 5 საათზე ნაძალადევის კლუბის შენობაში შესდგება პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

— ქალთა ორგანიზაციის ბიუროს სასწრაფო სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 ს. მე 2-რე რაიონის რომში.

გვირგვინი

ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას დაედგა სანატრელი გვირგვინი, საქართველოს დემოკრატიის თავგანწირული ბრძოლა, რომელიც საბედისწერო მომენტებში გამარჯვებიდან გამარჯვებაზე გადადიოდა, უდიდესი, სამარადისო გამარჯვებით დაგვირგვინდა: სრულ-უფლებიან იურიდიულ სახელმწიფოდ გვცნეს იმათ, ვის ხელშიაც დღეს-დღეობით მთელი ქვეყნის ბედი ტრიალებს.

და ეს გვირგვინი ხანგრძლივი რევოლიუციური ბრძოლით მოიპოვა საქართველოს მუშა ხალხმა, რომელმაც განვლილი გზა თავისი მრავალი მსხვერპლებით მოჰფინა.

ამიტომაც დღევანდელი ჩვენი ეროვ-

ნული ზეიმი უპირველეს ყოვლისა უნდა აღფრთოვანებდეს და ახარებდეს ჩვენს შეიარაღებულს მუშათა კლასს,—სახელოვან გვარდიას და ჯარს; მთელი ერის, საერთაშორისო ოჯახში თანასწორ უფლებიან ქართველი ერის გულის ყური უპირველეს ყოვლისა ფრონტისაკენ არის მიპყრობილი, სადაც ჩვენი გმირი არწივები ამაყათ სდარაჯობენ მაღალ ციხეთ ქცეულ სამშობლოს. სალამი და ნეტარება მათ!

ამ მებრძოლმა მუშებმა ცოცხალ სახელმწიფოებრივ არსებათ ჩამოყალიბებული საქართველო დღეს უკვდავი და უძლეველი გვირგვინით შეამკეს. ფაქტიურათ ცნობილი, გაერთიანებული და მთლიანი კოლექტიური პიროვნება დღეს მათი წყალობით იურიდიულათაც აღიარებულ იქნა სრულ უფლებამოსილ, ღირსეულ პიროვნებათ. ეს პიროვნება ქართველი ერი, საქართველოს მუშათა კლასის მიერ აღმდგარი, გაცოცხლებული, დავაჟკაცებული. ჩვენი მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში ქართველმა ერმაც შეიგნო და იცნო თავისი თავი. და მხოლოდ ამ გზითვე აცნობებინა მან თავი ყველას, როგორც მთლიანი, კოლექტიური, უკვდავი პიროვნება.

და დღეს პირველათ ისტორიაში ქართველმა მუშა ხალხმა საქმით დაუმტკიცა ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს, კაპიტალისტებს და სხვა მტრებს, რომ ჭეშმარიტი და სწორათ გაგებული ეროვნული ცხოვრების მატარებლები არიან მუშები. მუშათა კლასია ერი და არა ის, ვინც ერის სახელსაც და სახრავსაც უხვათ ითვისებს.

ჩვენი მუშათა კლასის სახით მთელმა ქართველმა ერმა გადიტანა ათასგვარი ჯოჯოხეთი; და აი დღესაც, ამ უდიადეს ზეიმის ჟამს, ის განიცდის პოლიტიკურათაც და ეკონომიურათაც საბედისწერო გასაჭირს. ჩვენი მუშათა კლასის თავზე კვლავ ყვავ-ყორნები ტრიალებენ; და ეს შინაური და გარეშე მსუნაგი სისხლის მსმელები ისინი ელიან იმ წამს, როდესაც ჩვენს მუშათა მთლიან ფრონტში არევ-დარევა შევა; ისინი ნატრულობენ იმ ჟამს, როდესაც ჩვენი მუშები შინაურ და გარეშე ბრძოლის ფრონტზე დამარცხდებიან; და მერე როგორ მიესევიან მის ეროვნულ სხეულს საჯიჯგნათ!

მაგრამ იცოდნენ ყველა მათ, რომ ის, ვინც განვლილი გზა სამაგალითოდ გაიარა და ვინც დღევანდელი ზეიმიც მოგვანიჭა,—ის კვლავ ივლის თავისი ნაცადი გზით, საბოლოოდ დაამარცხებს ყველა მტრებს და საბოლოო გამარჯვების გვირგვინსაც მოუპოვებს მთელ ერს.

ი. ირემაშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართველი ქალის ვალი

ის, რისთვისაც მთელი საუკუნე, ხან იდუმალ, ხან აშკარათ იღწოდა და იტანჯებოდა ქართველი დედა, დღეს სინამდვილეთ ქცეულა. მას არ შეეძლო შეგუებოდა მონობას, უღელს, რომელმაც ლეჩაქი ახადა მის სამშობლოს და მასაც, როგორც ქალს, რომელსაც ჰქონდა მდიდარი და ლამაზი ისტორიული ტრადიციები.

ჩვენ ვიცნობთ ქართველ ქალს ამაყს, გამრჯელს, პატიოსანს და მებრძოლს ძველ საქართველოს ეპოქაში და მრავალი ფიქრობდა, რომ ეს სამუდამოთ ჩაბარდა ისტორიას, რომ საქართველოს თავისუფლებასთან ერთად მოკვდა ღირსება ქართველ ქალისა. დაიშალა ძველი ფეოდალური საქართველო, მიქრა მისი ეპოქის ქალიც და ყველას ეგონა, რომ ახალმა ბურჟუაზიულმა ხანამ ვეღარ შექმნა სამაგიერო. მაგრამ იდუმალად ხალხის გულში მრავლობდა ახალი ენერგია, ირაზმებოდა მშრომელი მასსა, რომელსაც ახალი სინამდვილე უნდა გამოეჭედა და რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ და სოციალურ მონობას ვერ შეურიგდებოდა. და ჩვენში იცნობდენ მარტო მაღალი წოდების ქალებს, რომელნიც ტრადიციებით, ენით, აქტივობით სრულიად გადაგვარებული იყო და რომლის პიროვნება, საზოგადოებრივობა მარტო პატარა ქველმოქმედებით ამოიწურებოდა.

ეს იყო პასიური ფილანტროპია. და ჩვენი ცხოვრების ზედაპირზე მარტო ამ ქალების პორტრეტი ჩანდა.

მაგრამ იქ, სიღრმეში, საცა შეუჩერებლივ სწარმოებდა ბრძოლა განთავისუფლებისთვის, იყო ნამდვილი ქალი, ღირსეული მემკვიდრე თავის მშობლისა, რომელიც მხარში უდგა მამაკაცს ბრძოლაში და პატიოსან შრომაში.

აქ იყო ნაკლები თეატრალობა, გარეგნული ეფექტი, მაგრამ იყო ნამდვილი აქტივობა და თავგანწირული ბრძოლა. ტკბილ ნანასთან ერთად იგი უმღეროდა შვილს სამშობლოს უსამართლო დევნაზე, მშრომელი ხალხის დაცინვაზე. შრომის დროს ყანაში, ქარხანაში იგი მხარში უდგა მამაკაცს და შრომის ოფლს ღვრიდა, ბრძოლაში, ბარიკადებზე, ციხეებში, ციმბირში იგი მასთან ერთად იყო მუდამ და მას სწამდა ეს დღე, ეს განთავისუფლება.

მისმა შრომამ და თავგანწირვამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და ჩვენი ერის ნახევარს, ქალს დღეს ისევე ღირსეულათ, დაურცხვენლათ შეუძლიან შეეგებოს ამ ნანატრ დღეს, როგორც მის მეორე ნახევარს მამაკაცს. ეს ხსნა ნაჩუქარი და ნაპოვნი არ არის. იგი მოპოვებულია ხანგრძლივი ბრძოლით ჩვენის ხალხისა და ქართველი ქალი დღეს არ წითლდება სირცხვილით. მან იცის რა დიდია წვლილი მისი ამ საქმეში, რომლის წინაშეც დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისა ქედს იხრიან. და თუ აქამდის მოკრძალებით ფრიალებდა ჩვენი სახელმწიფოს დროშა, დღეს იგი მძლავრად იშლება და მტრებს გულს უგმირავს.

სამუდამოთ მოისპო ჩვენი მონობა და საქართველო ყველასაგან ცნობილი, საერთაშორისო ოჯახის ღირსეული წევრი, იწყებს ეკონომიურათ და კულტურულათ აღორძინებას. ამ ბედნიერებას მთელის ძლიერებით დღეს კიდევ ვერ ვხედავთ და ვერ ვაფასებთ, რადგან დიდ გაჭირებას განიცდის ხალხი. ლუკმა პურის ძიება ყველაფერს ჩრდილავს. მაგრამ გაივლის დრო და ის დრო შორს არაა, დაწყნარდება ყოველივე, თავის კალაპოტში ჩადგება მთელი ქვეყნის ცხოვრება. ქართველო ქალო, განა შენ ცოტა გილოდინია და მოგითმენია, მაშ ეხლაც მოითმინე და ხალხიც წელში გამაგრდება და დაიწყებს საკუთარ ნიადაგზე კულტურულ ცხოვრებას, ეკონომიურ აღორძინებას და მარტო მაშინ მიხვდება ყველა, მთელი ერი, რა დიდი და ბუმბერაზია ის საშვილიშვილო საქმე, რომელმაც დღეს სრული გამარჯვება იპოვნა.

და მომავალი თაობა, რომელიც მადლიერათ მოიხსენიებს ჩვენს თავგანწირვას და ბრძოლას, მოწიწებით მოიხრის ქედს ქართველი ქალის წინაშე.

ჯერ კიდევ ბევრია საქმე, დიდია ბრძოლაც, მაგრამ ჩვენ არა გვაფიქრებს, შიში არ იცის თავისუფალმა ხალხმა მტრის წინაშე.

მთელის აღგზნებით ვულოცავ ამ დიად დღეს ქართველ ქალს, ვიზიარებ მის ბედნიერებას და ვიცი, რომ ჩვენ განუშორებელნი ვიქნებით იმ ბრძოლაში, რომელსაც უკვე პოლიტიკურათ განთავისუფლებული ერი აწარმოებს საბოლოო გამარჯვებისათვის.

დე, თავისუფლების დროშა ჩვენი ერისა უფრო მაღლა აიწიოს ორმა ხელმა კაცისა და ქალისამ; მათ ერთად მიიტანეს იგი დღემდე.

დეე ერთად წაიღონ მომავლისკენ, ბრწყინვალე განთიადისკენ.

თამარ გოგოლაშვილი.

ერთა ლიგა და ახალი სახელმწიფოები

კამათი საქართველოს შესახებ.

პოდერევსკი (პოლონეთი): ლატვიას, ესტონიას, ლიტვას—ჩვენს დღევანდელ მტრებს და მე იმედი მაქვს,—სახვალიო მეგობრებს, ახალგაზრდა უკრაინას მის მრავალრიცხოვან მცხოვრებლებით, უძველეს საქართველოს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აზერბეიჯანს და უძველეს დროთაგან დევნილს, მრავალ ტანჯულ სომხეთს ჰსურთ ხალხთა ლიგაში შესვლა. პოლონეთი სულით და გულით იმათ მხარეზეა, ვინც იტანჯება, იბრძვის და იმედს არ ჰკარგავს და იმ საკითხზე, რომელიც ეხლა ჩვენს წინა სდგას, მას სურს დაუყონებლივ მისცეს დადებითი პასუხი (ტაში).

მაგრამ მადლიერი პოლონეთის გული ეკუთვნის აგრეთვე და პირველად ყოვლისა იმათ, ვინც ასე დიდსულოვნად აღმოუჩინა მას დახმარება და შემწეობა. პოლონეთს ძლიერ კარგათ ესმის თუ ვის უნდა უმადლოდეს ის თავის დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობას, მან იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში. როგორც ვხედავთ ჯერ კიდევ არ დაუკრავს ამ ერების ხალხთა ლიგაში მიღების ჟამს. პოლონეთს ჰსურს სთქვას—ჰო, მაშასადამე მას არ შეუძლია ხმა წინააღმდეგ მისცეს. აი რატომ, ბატონებო, მე თავი შევიკავე ხმის მიცემისაგან დღეს დილით და თავს შევიკავებ აგრეთვე ეხლა, გამოვთქვამ რა ამასთანავე ერთად გულწრფელ სურვილს, რომ ჩემი ქვეყნის კეთილის მყოფებმა უახლოეს დროში შესაძლებლად სცნონ ამ პატარა ხალხთა თავისუფლების საბოლოოდ გამოცხადება,—მტრები არიან ისინი, თუ მეგობრები.

შოკა ედ-დოვლე (სპარსეთი). მე დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადო ჩემ პატივცემულ კოლეგებს, რომლებიც საიმპერიო რუსეთისაგან ჩამოშორებულ სახელმწიფოთა მხარეზე იდგნენ. მაგრამ წინააღმდეგ პოლონეთის წარმომადგენლისა, მე არ შემიძლია არ მივცე ჩემი ხმა მცირე ერთა მიღების სასარგებლოდ.

სპარსეთიც იტანჯებოდა მეფის რუსეთისაგან. ის უბედური იყო ამ პატარა ხალხთა მსგავსად. ამიტომ მე ჩემ მოვალეობათ ვსთვლი მათ დასაცავად გამოსვლას.

დღეს დილით ჩვენ დავაკმაყოფილეთ ფინლიანდიის შუამდგომლობა. რით აიხსნება სხვაგვარი დამოკიდებულება საქართველოსთან და ბალტიის სახელმწიფოებთან.

დილით კრებამ განიხილა აგრეთვე საკითხი სომხეთის შესახებ. ყველაფერი იმათკენ იყო მიმართული, რომ სომხეთის შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნებოდა, მაგრამ მე აგრეთვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ქვეყნის მდგომარეობა მკვიდრი არ არის, სინამდვილეში სომხეთი არ არსებობს. აი რატომ იყო იძულებული სპარსეთი თავი შეეკავებინა კენჭის ყრის დროს. ასეთი არ არის საქართველოს მდგომარეობა. ეს ორგანიზაციულად მოწყობილი ქვეყანაა, მტკიცე მთავრობით, ჯარით, რომელმაც შესძლო ქვეყნის დაცვა ორი მტრის წინააღმდეგ, რომლებიც მას რამოდენიმე წლის განმავლობაში თავს ესხმოდენ. მე ვიყავი საქართველოში 1919 წელს. ეს კულტურული ქვეყანაა და მე მას კარგათ ვიცნობ. ჩემის აზრით, საქართველოს აქვს ხალხთა ლიგაში წევრათ ყოფნის უფლება.

მე ხმას მივცემ 3 ბალტიის სახელმწიფოთა და საქართველოს მიღების შესახებ შუამდგომლობათა დაკმაყოფილებას. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელში მე შეძლება მომეცემა ხმა მივსცე აგრეთვე უკრაინისა და აზერბეიჯანის მიღებას ხალხთა ლიგაში.

შანცერი (იტალია). ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ იტალიის დელეგაციის ხმის მიცემის მოტივები. იტალიის შეხედულება სახელმწიფოთა ერთა ლიგაში მიღების შესახებ ყველაზე უფრო ფართო და ლიბერალურია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რაც უფრო მეტ რიცხვს სახელმწიფოებისას შეიყვანს ხალხთა ლიგა თავის ფარგლებში,—მით უფრო უკეთ შესძლებს ის თავის მისიის შესრულებას—ხალხთა შორის სოლიდარობისა და თანამშრომლობის დამყარებას. მაშინ ლიგა იქნება არა მარტო უმნიშვნელოვანესი ქვეყნად წარმომადგენლობითი კრებულება, რომელსაც ეხლა თავის მუშაობაში წინ ეღობება სხვადასხვა დაბრკოლებანი, ის გადაიქცევა ცოცხალ და მოქმედების ენერგიით აღსანიშნავ ორგანიზმათ, რომელიც შესძლებს მთელი თავისი გავლენის დადებას მსოფლიო პოლიტიკის სასწორზე იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს ზავი და საერთაშორისო მშვიდობიანობა.

ამის გამო ჩვენ ვუერთდებით ბ. რასტრეპოს წინადადებას—დაუყოვნებლივ იქნენ დაშვებულნი ხალხთა ლიგაში ბალტიის სახელმწიფოები და საქართველო.

ამომრჩეველთა დამატებითი სიების შედგენა

2 თებერვლიდან ყველა საკომისარიატოს ბიუროებში გამოფენილია საარჩევნო სიები.

კანონის ძალით ეს სიები გამოფენილი იქნება მხოლოდ 5 დღის განმავლობაში, ე. ი. 6 თებერვლამდე.

ამ დროს განმავლობაში უნდა ამოძრავდენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები და თუვინმე გამორჩა, უნდა შეიტანონ სიებში.

ეხლავე უნდა გაინაწილონ რაიონები და თავთავიანთ რაიონებში გამოარკვიონ, ხომ არავინ დარჩენილა სიებს გარეშე.

ის პირები, რომლებიც შეიძლება შემთხვევით გამორჩენ, ხოლო საარჩევნო უფლება კი აქვთ, უნდა დაუყონებლივ შეტანილ იქნან დამატებითი საარჩევნო სიებში.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ 6 თებერვალს თავდება სიებში შეტანის ვადა.

ვინც ამ დრომდე არ იქნება შეტანილი, ის დაჰკარგავს საარჩევნო ხმას.

ყველა ჩვენგანის პარტიული მოვალეობაა მივაკითხოთ ჩვენს რაიონებში საარჩევნო ბიუროებს და ვიკითხოთ ვართ თუ არა სიაში შეტანილი.

თუ არა ვართ სიებში შეტანილნი, მოვითხოვოთ, რომ შეგვიტანონ და თან წარვადგინოთ სათანადო დოკუმენტი, დამამტკიცებელი მოქალაქეობისა.

მაშ ასე.

გვახსოვდეთ, რომ ვინც 6 თებერვლამდე არ იქნება საარჩევნო სიაში შეტანილი, ის კარგავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

ან—რე.

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

16 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი.

გრძელდება მსჯელობა კონსტიტუციის პირველი თავის შესახებ.

იოს. ბარათაშვილი (ს.-ფ.) აღნიშნავს დიდ მნიშვნელობას ნაციონალური გრძნობისას და ვრცლათ არკვევს ნაციონალურ თავისუფლების პრინციპის სიდიადეს. შემდეგ ორატორი ეხება მუხლს—დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივობისა და უცვლელობის შესახებ; მისი აზრით, სიტყვა მუდმივი არ უნდა დარჩეს კონსტიტუციაში, რადგანაც ამით ხალხს ერთმევა უფლება პოლიტიკურ ფორმის შეცვლისა. ესერების პროექტი, ორატორის აზრით, ორპირობით არის სავსე. მათ გადაჭრით უნდა სთქვან—რომელ გზას ადგანან—დემოკრატიისა თუ დიქტატურის. ისინი ერთსაც იღებენ და მეორესაც. ეს კი მიუღებელია.

შ. ხაჟვარელიძე (ს.-დ.) ზოგად დებულებების შესახებ მე ბევრს აღარ ვილაპარაკებ, ვიტყვი მხოლოდ რამოდენიმე საზოგადო მოსაზრებებს. აქ შეეხნენ იმ საკითხს, თუ რატომ ჩვენ ნაციონალურ დროშად არ არის წითელი დროშა. ამაზე მე მოკლედ ვუპასუხებ: ჩვენში მიტომ არ არის წითელი დროშა, რომ საქართველოს სახელმწიფო არსებობდა უძველეს დროთაგან, მას ჰქონდა სახელმწიფო ტრადიციები და ჰქონდა თავისი დროშა. საქართველოს ჰქონდა წარსული ისტორია; ეს რომ არ ყოფილიყო,—მაშინ სხვა საქმეა. თვით ნაციონალური დროშა სავსებით ეთანხმება ჩვენს პრინციპებს, იგი ემბლემაა ორი იდეის—რევოლუციის და ეროვნულის შეთანხმებისა.

უნდა დამტკიცდეს, თუ არა კონსტიტუცია რეფერენდუმის საშუალებით? ჯერ ერთი: არ არის მართალი, თითქოს დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ უნდა ითათბიროს, მან უნდა გადაჭრას კიდეც მნიშვნელოვანი საკითხები, დააფუძნოს საფუძვლები ჩვენი სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა. ხალხმა აირჩია დამფუძნებელი კრება იმისათვის, რომ მან მიიღო კონსტიტუცია. და დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღება არის საბოლოო, რადგანაც სათანადო დავალება არჩევნების დროსვე მისცა მას ხალხმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ თათბირი გვქონია და სხვა არაფერი, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი.

ხალხმა აზრი შეიძლება შეიცვალოსო. ეს ასე არ არის, ჩვენ ყველა საბუთები გვაქვს ასე ვიფიქროთ, მაგრამ თუ ასე არის საქმე, მაშინ დამფუძნებელმა კრებამ აღარ უნდა გადასწყვიტოს აღარც ერთი საკითხი. როცა ჩვენ რეფერენდუმის წინააღმდეგ მივდივართ, ჩვენ ხალხის კი არ გვეშინია, არამედ ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ ბოლომდის ლოღიკა.

აქ შეეხნენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც ვითომც-და არსებობს ნეიტრალობის შესახებ მუხლსა და ერთა კავშირში შესვლის აღიარების შორის. თუ ნეიტრალური ვიქნებით, მაშინ შეიბორკება ჩვენი შესვლა ხალხთა კავშირში. მაგრამ ჩვენ ნეიტრალობის აღიარებას, სულ ერთია, ვერ ავიცდენთ თავიდან, იგი აღიარებულია დამოუკიდებლობის აქტში და აქ გადმოტანით კი გვინდა იგი უფრო განვამტკიცოთ. არ შეგვიშლის ეს ხელს სხვა ერთა მთლიან ორგანიზაციის შესვლის დროს. ამის კლასიკური მაგალითი შვეიცარიაა, იგი ნეიტრალური ქვეყანაა და ხალხთა ლიგაში კი შევიდა (გიორგი გვაზავა: „რამდენი შრომა დაიხარჯათ ამისათვის?) შრომა სხვაა, აქ საქმე პრინციპშია—შესვლა შესაძლებელი ყოფილა და თქვენი მოსაზრება არ არის სწორი. ამას გარდა, თქვენი მოსაზრებები აგრეთვე აქტის წინააღმდეგაც უნდა წამოაყენოთ,—ან ერთი ან მეორე. ეს აქტი კი არის წყარო ჩვენი კონსტიტუციისა და მისი მიღებით უნდა შევილოთ ნეიტრალობა აგრეთვე კონსტიტუციაშიაც.

რასაკვირველია, ერთ მხრივ ნეიტრალიტეტი ბევრს არას ჰნიშნავს; მას მხოლოდ სხვების მიერ ცნობის შემდეგ აქვს ძალა; მაგრამ ჩვენ ეს გვაქვს შეტანილი ჩვენი სურვილის გამოსახატავად. ჩვენ ამით ვამბობთ, რომ ჩვენ ასე გვინდა. ჩვენ ვიცით, რომ ნეიტრალობა უდიდესი ფაქტორია ქართველ ხალხის განვითარებაში. ნეიტრალობა არც შეგვიშლის ჩვენ ხელს თავდაცვის საქმეში. განა ბ. გვაზავა იტყვის, რომ ნეიტრალობამ დაგვიშალა თავდაცვის საქმე და მტრის მოგერიება? მართალია ჩვენს ნეიტრალობას არ სცნობენ მაგრამ უფრო დიდია, რომ ჩვენ ვსცნობთ ჩვენს თავს. თუ გვიცნეს—ხომ კარგი, თუ არა და მაშინ მზად ვიქნებით.

ეწინააღმდეგება თუ არა ეს ერთა ლიგაში შესვლას? ჩვენს პროექტში სრულიადაც არ არის ლაპარაკი ერთა ლიგის შესახებ. იქ ლაპარაკია მხოლოდ ერთა თავისუფალ კავშირზე, დემოკრატიულ ერთა კავშირზე.

დღევანდელი ლიგა არ წარმოადგენს ჯერ ასეთ ორგანიზაციას; თუ კი გადაიქცევა—ეს სხვაა. მაშინ იქ უნდა იყვნენ ხალხის წარმომადგენლები. ეხლა კი ვინ არის იქ წარმოდგენილი?—მთავრობების წარმომადგენლები, რომლებიც თავისებურათ საქმიანობენ. ჩვენ კი გვინდა, რომ შიგ იყვნენ ერების, დემოკრატიის წარმომადგენლები და მაშინ გახდება იგი რეგულატორი საერთაშორისო მშვიდობიანობისა. ამბობენ—არის ინტერნაციონალი და ის ასეთ სამსახურს ასრულებსო. ეს არ არის სწორი; ინტერნაციონალი სრულიად სხვა ხასიათის ორგანიზაციაა და იგი არა ხდის ზედმეტად სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან საჯარო უფლებებით. ამას წინათ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის გამო ლ. შენგელაიამ განაცხადა, რომ ეს დიდი გამარჯვებაა ქართველი ერისაო. ნეტა რად გაუხარდათ მაშინ ეს გამარჯვება ქართველ ერისა, თუ არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ამას!? შენგელაია ეხლა ამბობს—სოციალისტს არ შეუძლია შიგ შესვლაო. მეორე ინტერნაციონალი კი იღებს ერთა ლიგას, მაგრამ ამბობს, რომ სოციალისტებმა უნდა იბრძოლონ მის გადასახალისებლათო, სხვა ლიგის შესაქმნელად. ბ. გობეჩია იძახის, რომ იქაური ერები ყველა იმპერიალისტურ სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნიო. მაშ, ვიჯმნათ ეშმაკისაგან და დავრჩეთ მარტო? არა, ეს არ არის ასე. იქ არის სხვა ძალებიც, რომლებიც ებრძვიან იმპერიალისტებს. მართალია, მთელი იქაური პოლიტიკა იმპერიალისტურია, მაგრამ არის აგრეთვე მოძრაობაც, რომელიც მიიყვანს კაცობრიობას მშვიდობიანობისა და ერთა კავშირთან. კაცობრიობა ან უნდა დაიღუპოს და ან უნდა მიაღწიოს მან მშვიდობიანობის ნავთსაყუდელს. ასე აყენებს საკითხს ისტორია, და სწორედ ეს ბრძოლა მიიყვანს კაცობრიობას მშვიდობიანობამდის. ამგვარად, ჩვენი მუხლით ერთა კავშირის შესახებ ჩვენ ორ აზრსა ვხატავთ—ამის აუცილებლობას და ჩვენი ერის სურვილსაც, რომ გვქონდეს საერთაშორისო ურთიერთობა.

ს. დადიანის აზრითაც უნდა იყვეს ერთა კავშირის შესახებ მუხლი, როგორც სურვილის გამოხატვა ან ნეიტრალობა. ან ერთი ან მეორე. მაგრამ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ჩვენ ვიბრძვით ერთა კავშირში შესვლისათვის და აგრეთვე ნეიტრალობისათვისაც. მაგრამ ამ ერთა კავშირის შესაქმნელად დიდი დროა საჭირო და ამიტომაც მანამდის ვაღიარებთ მუდმივ ნეიტრალობის პრინციპს.

დიდი კამათი გამოიწვია მუხლმა დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივობის და უცვლელობის შესახებ. ყველა ამბობს: დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია, მაგრამ მუდმივათ მისი გამოცხადება არ ვარგაო. დადიანმა სთქვა—ყველაფერი იცვლება; მაგრამ ეს საკითხი არის პირველად ყოვლისა ბრძოლის საკითხი, ნაყოფი პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულ ბრძოლისა. გამარჯვებული პარტიები სცდილობენ უფლებრივადაც—განამტკიცონ გამარჯვება. საფრანგეთში მაგ., მხოლოდ ერთმა ხმამ გადასწყვიტა რესპუბლიკის ბედი და შემდეგ იწყო ამ რესპუბლიკამ მომაგრება. რესპუბლიკანელები გამაგრდნენ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა შეიტანეს მუხლი რესპუბლიკის ფორმის შეუცვლელობის შესახებ.

ლ. შენგელაიას მაგალითი მონარქისტების გამარჯვების შესახებ არაფერს ამტკიცებს, თუ მონარქიამ გაიმარჯვა, მაშინ ის სულყველანაირ კონსტიტუციას დაგიფარეწს; ამ მუხლით აკრძალულია მხოლოდ ლეგალურათ რესპუბლიკის ფორმის შეცვლისადმი მისწრაფების განხორციელება. მაგ. თუ საფრანგეთში გაიმარჯვეს სოციალისტებმა,—იქ რესპუბლიკა არ გახდება გადასინჯვის საგნათ, აგრეთვე ამერიკაში, შვეიცარიის ფედერაციაში, პორტუგალიაში არ შეიძლება იმსჯელონ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების ფორმის გადასინჯვის შესახებ. აქ საერთოდ ბრძოლა იყო ორ ბანაკ შორის და ერთი გამარჯვებული ბანაკი სცდილობს კანონიც გამოიყენოს.

გობეჩიას ჰგონია—რაკი ეს მუხლი შეაქვთ,—ხალხის იმედი არ ჰქონიათო. არა, ჩვენ გვაქვს ხალხის იმედი, მაგრამ ყველამ იცის, რა თამაში სწარმოებს ხალხის ძალებში ისტორიულ პროცესში. ხშირად გამოდის რომელიმე პიროვნება, ისტორიული მატრაკვეცა, რომელიმე ჯგუფი, უმცირესობა, რომელიც თავზე აჯდება ხალხს. ჩვენ უნდა მოუსპოთ მას ლეგალურად მოქმედების ასპარეზი და სწორედ ამიტომაა საჭირო ეს მუხლი.

ამის გარდა, ყოველივე დემოკრატია თავის საბოლოო განვითარების დროს მისწრაფის თანასწორობისაკენ. დემოკრატიის ლოღიკური ბოლო სოციალური დემოკრატიაა. ხოლო სოციალიზმის—სოციალურ და ეკონომიურ დემოკრატიის დამყარება განა უარყოფს პოლიტიკურ დემოკრატიას? განა მომავალში არ იქნება პოლიტიკური ცხოვრება, არჩევნები და სხ. რესპუბლიკა საერთოდ სახელმწიფოს ჰნიშნავს, მომავალი სახელმწიფო კი არ იქნება თანამედროვე სახელმწიფო. ასე რომ ეტიმოლოგიურადაც ეს არ ნიშნავს დღევანდელი ფორის გამარადისებას. მაშ, რის გვშინებია ჩვენ?—არა მონარქიის, არამედ იმის, რომ არ წავიდეთ უკან წინსვლის მაგიერ, წინსვლა კი დემოკრატიულ რესპუბლიკის ფორმაშია შესაძლებელი.

ბარათაშვილი ამბობს: რათ არ მივცეთ ხალხს უფლება ნელ-ნელა, ევოლიუციურად შესცვალოს მმართველობის ფორმაო. მაგრამ რით უნდა შეიცვალოს? შეცვლა შეიძლება მხოლოდ შინაარსის შეცვლით. ეს არის ფორმა და შიგ შეიძლება სოციალისტური შინაარსიც ჩავდოთ. დღევანდელი სინამდვილე არ არის სოციალისტური, მაგრამ არის მისი ჩანასახები: შემდეგ კი ჩანასახი (გაზრდილი უკვე) შეავსებს ამ ფორმას. ასე რომ ამ მხრივ—სოციალისტურ შინაარსს არავითარი საფრთხე არ მოელის; ამიტომ მომავლის საუკეთესო ფორმაც—დემოკრატიული იქნება.

დემოკრატია არ გვინდა, იგი ბატონობას წარმოადგენს. აქ სჩანს 62 პიროვნების კულტის მიმდევრებისა ე. ი. ეს მომავალში არ იქნებაო. მე 1000 წლებით წინ ვერ გავიხედავ, სულ დიდი 100 წლის გათვალისწინება შეგვიძლია; და იქაც კი იქნება უმრავლესობა და უმცირესობა. დღეს ამის არსებობა აუცილებელია ეკონომიური მიზეზების გამო, მაგრამ მომავალშიაც იქნება უმცირესობა და უმრავლესობა სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს, სხვა ნიადაგზე, ამიტომ იქაც იქნება კრატია, უმრავლესობის ბატონობა. შეიძლება, როდესიმე ეს მოისპოს, მაგრამ ჩვენ ხომ ისტორიის ნიადაგზე ვმოღვაწეობთ და ასე შორს წასვლა პოლიტიკურ პროგნოზების მხრივ არ შეგვიძლია.

შენგელაიას აზრით, თუ მონარქისტებმა გაიმარჯვეს—კონსტიტუციას დაფხრეწენო. მაგრამ მთავარი ეს არ არის. ჩვენს რესპუბლიკას პატივი უნდა სცეს ყველამ, მონარქისტებმა ვერ უნდა შესძლონ მის წინააღმდეგ ლეგალურად გალაშქრება. თუ თქვენ დემოკრატიული წყობილება არ გვიმტკიცებთ,—ეს სხვა საქმეა, ჩვენ კი მას მომავლის ფორმადაც ვთვლით და ამიტომ ვსპობთ მის მოსპობის ლეგალურ საშუალებებს. ეს ბურჟუაზიულ ევროპაშიც არისო,—ამბობთ თქვენ; მაგრამ თქვენც ბევრი აიღეთ იქიდან. ამას გარდა იქ ბევრი რამ შესანიშნავიც შეიქმნა; მაგ. „უფლებათა დეკლარაცია“, რომლის შემადგენელთაც მომავალში ძეგლი დაედგმებათ.

რაც შეეხება მეცნიერულობას ამ მუხლისას,—უნდა განვაცხადო, რომ საერთოდ თითქმის ყველა დებულება, მაგ. სიკვდილით დასჯის შესახებ და სხ.—მეცნიერებაში, იურის პრუდენციაში კამათის საგნათაა გამხდარი, მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ვუცადოთ კამათის დასასრულს.

რა წყობილებაა დღეს? ეს საკითხი ბევრს აინტერესებს. ბევრი ამბობს—სოციალისტური არისო, ბევრს ჰგონია, რომ ასე არ არის; კატეგორიულად ლაპარაკი აქ შეუძლებელია. ჰკვიანი კაცის „მგონია“ 1000 უვიცის „ვიცი“-ს სჯობია,—ამბობს ერთი ანდაზა. დღეს გარდამავალი ხანაა; მაგრამ ჩვენ მას ვერ წავუსწრებთ წინ. ჩვენ მასთან ერთად მივდივართ და ამიტომ ისეთს ფორმასა ვქმნით, რომელიც ჩაიტევს სოციალურ ტრანსფორმაციის შესაძლებლობასაც, იარაღათ გამოგვადგება მომავლის სახელმწიფოს აგების დროსაც.

შენგელაიამ იკითხა—რას ჰნიშნავს განუყოფელი სახელმწიფოვო?—ეს ჰნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ არის ფედერატიული, რომ ის უნიტარულია. მაგრამ მან სთქვა, რომ შეიძლება, მისი გაუყოფლად წარმოდგენაო და მოიყვანა აფხაზეთის მაგალითი,—თურმე აფხაზეთს სახელმწიფო ჰქონია. მაგრამ თქვენ ურევთ სახელმწიფოებრივსა და ადმინისტრატიულ ავტონომიას. შვეიცარიის კანტონებში არის ავტონომია სახელმწიფური, ჩვენში კი ავტონომია არ არღვევს სახელმწიფოს უნიტარობას. ეს არც არღვევს ტერიტორიის განუყოფლობას; თვით თქვენივე—ესერების კონსტიტუციაშიაც არის ასეთი მუხლი. გარეშე ამისა აგება სახელმწიფოსი წარმოუდგენელი იქნებოდა. ერთი ხასიათი აქვს და ფაქტები კი სხვას ამტკიცებენ.

ესერები განსაკუთრებულად ებრძვიან კონსტიტუციას, მათ ჰსურთ მოაჩვენონ ხალხს, რომ მას ყველა ღალატობს ესერების გარდა, რომ ისინი იცავენ სხვა ერების უფლებასაც, რომელსაც სხვები—ნაციონალისტები აბუჩად იგდებენო. ეს რომ ასე იყოს,--სასაცილოც კი იქნებოდა. მაგრამ არის მეორე მხარეც. ჩვენ გვეუბნებიან: კლასიურ სახელმწიფოს მუდმივი დამცველები ხართო. მაგრამ ავიღოთ მათი კონსტიტუცია; იქაც არის ყველაფერი—ერთი ენა, ტერიტორიის განუყოფლობა—მე ვლაპარაკობ ფორმალურად, თორემ ფაქტიურათ რომ ესერები ამას არ აღიარებენ,—ამის ფაქტებიც მოიპოვება.

რამდენი ტყვია-წამალი დახარჯეს მათ, რომ დაემტკიცებიათ—დემოკრატიული რესპუბლიკა არ ვარგაო, ხოლო ჩვენი შრომის რესპუბლიკა—ჩვენი პროგრამული მოთხოვნილებაა არისო. აბა, ვნახოთ რა სწერია მათ პროგრამაში; იქ სწერია—მონარქიის შეცვლა დემოკრატიული რესპუბლიკით და სხვა დემოკრატიული მოთხოვნილებანი. მათ თვით დაკარგეს გზა და უღალატეს კიდეც თავის პროგრამას. ამის შემდეგ თქვენ თვითონ განსაჯეთ, ვინ არის უკეთესი სოციალისტი. სოციალისტობა ფრაზებში კი არ გამოიხატება; ასეთი ფრაზები კი უხვადაა აქვთ ესერებს, მაგ., „სახელმწიფო დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ექსპლოატაციის წინააღმდეგო“. ეს კი უპირისპირდება მათივე ძველ პროგრამულ მოთხოვნილებას 8 საათის სამუშაო დღის, და სახელმწიფოს მიერ შრომის დაცვის შესახებ. ამიტომ არ არის მართალი, როცა ამბობენ—თავიდანვე ამას ვითხოვდითო.

ბ. შენგელაიას ჰგონია—ერთა თვითგამორკვევა ყველა ერებს, მათ ნაწილებსაც კი უნდა მიეცესო. მაგრამ ეს პრინციპი შეეხებოდა ერთა სახელმწიფოებს და არა ეროვნულ სახელმწიფოებს. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ აქ ცალკე სახელმწიფოები დაარსონ იმიტომ, რომ აქ სცხოვრობენ არა ერები, არამედ ნაწილები ერებისა—მაგალითად, სომხები და სხ. თუმცა არც ესერები ანიჭებენ სრულ თანასწორობას ყველა ერებს. ამას ამტკიცებს მათ მიერ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება.

საერთოდ, მომავალში მე ესერების პროექტის სათანადო თავს შევადარებ ჩვენი პროექტის ასეთივე თავს, აქ—1 თავში მათ აქვთ 8 მუხლი და 4 ჩვენგან აქვთ აღებული. უდრეს „სოციალისტებს“ კი არ შეეფერებათ, რომ „ბურჟუაზიულ“ კონსტიტუციიდან გადმოიტანონ მუხლები.

ბოლოს ორატორი რამოდენიმე სიტყვით უპასუხებს ბარათაშვილს ფედერაციის განმარტების შესახებ და სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს ეს თავი კონსტიტუციისა.

1-ლი თავი კონსტიტუციისა დამფ. კრების მიერ მიღებული იქნა. ესერების ფრაქციამ წინააღმდეგ მისცა ხმა.

მუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის პირველი თავისა დაიწყება 10 დღის შემდეგ.

„თელავის ქალაქის საქმიანობის შესახებ"

(წ. რ. რედ. მიმართ)

ამ საოცარით გაზეთ „საქართველოს" № 180 ში მოთავსებულია ვ ნმე გ—ია წერილი, რომელიც ვითომ ეხება ქალაქის საქმიანობას, მარა უმთავრესად კი ჩემს წინააღმდეგ არის მიმართული. ეტყობა ბ-ნი გ—ია პირადი ანგარიშებით არის გულ ნაკლი და მისთვის ცდილობს ფაქტების დამახინჯებას, შეცდომაში შეჰყავს „საქართველო" და მკითხველი საზოგადოებაც. პირველად ბ-ნი გ—ია ეხება საერთოდ ქალ. გამგეობის ვითომდა უკანონო მოქმედებას და შემდეგ პირდაპირ ჩემზედ ამოხევს თავის გულის წყრომას. ის აღნიშნავს, რომ თელავში ბინების რეკვიზიცია ვახდენ, მაგრამ მალე არბილებს ამ ბრალდებას და ჩასახლებაზედ გვითითებს, და რომ მკითხველი უფრო შეცდომაში შეიყვანოს, ვითომ მაგალითები მოჰყავს: საქალაქო სკოლა, მთვარელიშვილი, ბაზაზ სისოევის ბინები და მასალა რომ მალე შეკრებილია, სასურსათო განყოფილებაზე გადადის. უნდა მოვახსენო ბ-ნ გ—იას, რომ თუ ქალაქის გამგეობა ასე ნიადაგ უკანონოდ მოქმედობს, სად არის ქალაქის საბჭო, თვით მოქალაქენი, რომელთაც მისი აზრით ასე ვავიწროვებთ, სად არის თვით საზოგადოება, ან პრესა, რომ ამდენ უკანონობას და უსამართლობას ითმენს, მაგრამ ამის მსგავსი არაფერია თელავში და აქამისათვის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ საბჭოში ამის შესახებ შეკითხვით შემოსულიყვნენ: არც ერთხელ ადგილი არა ჰქონია, რომ ამის შესახებ მიემართოს რომელიმე დაჩაგრულ მოქალაქეს საბჭოსათვის, არც მთავრობისთვის, პრესაშიაც არაფერი ყოფილა აღნიშნული, გარდა ერთად-ერთი ზემოდ დასახელებული წერილისა. რომელი ავტორის არის დაწერილი, ჩვენ კარგათ ვიცით. უკმაყოფილება მოქალაქეთა მიერ ვერც იქნებოდა აღნიშნული, რადგან მას ადგილი არა ჰქონია თელავის მუნიციპალურ ცხოვრებაში, პირიქით, გამგეობა ცდილობს და მისი მიზანია ყველას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, ყველა მომჩივარი ამა თუ იმ საქმეზედ სამართლიანად დააკმაყოფილოს, რომ იმით გაამართლოს ის მიზანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი დემოკრატიული და ხალხისაგან ნდობით აღჭურვილი ქალაქის გამგეობა. რაც შეეხება პირდაპირ ჩემ მოვალეობას როგორც საბინაო და სასურსათო განყოფილების თავმჯდომარისას და ბინების რეკვიზიციას, ამაზედ მოვახსენებ ბ-ნ გ—იას, რომ ჯერ ჯერობით თელავში არც ერთი ბინის რეკვიზიციის მაგალითი არ ყოფილა და საიდან მოელანდა ბ-ნ გ—იას არ ვიცი. მხოლოდ რაც შეეხება ჩასახლებას, ისიც იშვიათად ხდება, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთის შეთანხმებით (გარდა ბ-ნ ბურჭულაძის ბინისა), რომელზედაც უნდა იყოს აშენებული ზემოდ დასახელებული წერილი. არც ერთი მაგალითი არა ყოფილა და ვერც წერილის ავტორი დამისახელებს, რომ ვისიმე ბარგი ქალაქის მილიციას ქუჩაში გადმოეყაროს.

საქალაქო სკოლის შესახებ ფაქტებს განგებ ამახინჯებს ბ-ნი გ—ია, მართალია, ადგილი ჰქონდა პატარა გაუგებრობას, მაგრამ საქმის ნამდვილი მხარე შემდეგში მდგომარეობდა: ქალაქის სკოლების ბატონ პატრონი არის ქალაქის გამგეობა. სკოლაში თუ მოხვდა თავისუფალი ბინა, ის ქალაქის განკარგულებაშია და არა სკოლის გამგისა. სკოლის გამგეს არ შეუძლია ვისმეს მისცეს ბინა ქალაქის გამგეობის ნებადაურთველად. ამ სკოლის გამგემ კი, როგორც თვით ბ-ნი გ—ია აღნიშნავს, თავის ნებით, გამგეობის დადგენილების წინააღმდეგ, მიაკუთვნა სხვა პირს. ასეთ თვითნებობას ქალაქის გამგეობა, ცხადია, ვერ დაუშვებდა. რაც შეეხება მეორე ოთახს (სკოლაში განთავისუფლდა ორი ოთახი), რომელიც სამასწავლებლოდ უნდა გამოეყენებია სკოლას, ეს გამგეობამ ნება დართო და დღესაც იქ სამასწავლებლო არის მოთავსებული. ასე რომ, ბ-ნი გ—ია სცრუობს, როდესაც ამბობს, რომ ვითომც მე ამეკრძალოს თავისუფალ ოთახში სამასწავლებლო მოეწყო სკოლას. საკითხი ეხებოდა საცხოვრებელ ოთახს და არა სამასწავლებლოს.

ასეთივეა ბ. მთვარელიშვილის ბინის საკითხიც: ეს ბინა ორითვე ჰქონდა საბინაო განყოფილებას აღრიცხვაში და ფიქრობდა იქ ქალაქის ბუღალტერი მოეთავსებინა, მთვარელიშვილი კი გამგეობის ნებადაურთველათ შეუთანხმდა სახლის პატრონს და ბინა დაიკავა. შესაძლებელია ბ-მა მთვარელიშვილმა არც იცოდა, რომ ეს ბინა აღებული იყო აღრიცხვაზე, მაგრამ ასეთი აქტი საბინაო განყოფილებამ მაინც დაურღვეველად ჩასთვალა და ბინა, როგორც წინათ ჰქონდა განზრახული, მიაკუთვნა ბუღალტერს. განა ბ-ნ გ-ია უკანონობა არის, რომ თავისუფალი ბინები აღრიცხვაში აიღოს და სამართლიანად გაანაწილოს მცხოვრებთა შორის?

ბოლოს ბ. გ—ია ყველის ჩამორთმევაზედ ლაპარაკობს და სპეკულიანტების დამცველადაც გამოდის. ბ-ნ გ-იას იქნებ ქუჩაშიც არ მოსდის, რომ მე, როგორც სასურსათო განყოფილების თავმჯდომარემ, მიზნათ დავისახე ვებრძოლო სპეკულიაციას და იმ თავაშვებულ მოვაჭრეებს, რომლებიც სანოვაგეს ყიდულობენ, ჯერ ინახავენ და მერე გამოაქვთ ბაზარზედ და ხელოვნურად ფასებს სწევენ და აი, ასეთ სპეკულიანტებს მე ვდევნიდი და კიდევაც ვდევნი მომავალშიაც.

ბაზაზ სისოევის ვექილობასაც და ვითომ უსამართლოდ დაჩაგვრასაც იცავს, საქმე კი შემდეგში იყო: სისოევმა იყიდა სახლი მიკირტუმოვისა და მდგმურს ფილიპოვ ჩას წვრილ ცოლ შვილს მოუნდომა დათხოვნა, და მართალია მე ამ საქმეში ჩავერიე. ბინის განყოფილებამ ფილიპოვ ჩი იმავე ბინაში დასტოვა და ორი ოთახი გამოყო სახლის პატრონისთვის. ნუ თუ ეს უსამართლობაა?

ბოლოს გ—ია სწერს—ვინ მოსთვლის იმ უწესოებას, რომელსაც იმნაძე სჩადისო, მაგრამ სახელდობრ რა! ვერაფერს ასახელებს, გარდა ზემოხსენებულ პირების და ყურმოკრულ ამბებისა; ეს ცხადია, რომ ბ-ნ გ—ია პირადი მტრობით გაქენთილი ცდილობს გაზეთის ფურცლებზედ პირების გამოტანით ჯავრი იყაროს ჩემზედ, რაშიაც ეჭვიც არ არის.

აი საქმის ნამდვილი ვითარება და დეე მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს თავისი პირუთვნელი მსჯავრი.

თელ. ქალაქის გამგეობის წევრი:
ნიკო იმნაძე.

ს.-დ. პარტიაში

(ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ერთი წლის მუშაობიდან).

მესამე რაიონის კოლექტივი არჩეულ იქნა 25 იანვარს 1920 წელს.

მთელი წლის განმავლობაში კოლექტივმა გამართა 42 ჩვეულებრივი სხდომა და 4 არაჩვეულებრივი. კოლექტივის წევრნი სისტემატიურად ესწრობოდენ სხდომებს, გარდა ორიოდე გამონაკლისისა, ორი წევრი კოლექტივისა იმყოფებოდა თითქმის მუდამ ან ერთ ფრონტზე და ან მეორეზე. ორი წევრიც მათდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ესწრებოდა სხდომებს, რომლებსაც სცვლიდნენ მათი კანდიდატები. სხდომებზე უმთავრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული პარტიული მუშაობის საკითხს, ირჩეოდა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურულ-განმანათლებელი საკითხები. პარტიული მუშაობის სფეროში კოლექტივმა ბევრი დაბრკოლებები ნახა, ამის მიზეზი ღრმად არის ჩამარხული დღევანდელ სინამდვილეში; მძიმე ეკონომიური სიმწვავე, პარტიის მოწინავე წევრთა ფრონტებზე ყოფნა და სხ.

რაიონში არსებობს ორი ქვე კოლექტივი: 1-ლი სამხედრო სასურსათო მაღაზიის საწყობებში, და ბელოგორკას უბანში. არის ორი იაჩეიკა თამბაქოს ქარხანა „სოლონში" და არამიანცის საავადმყოფოს მუშა მოსამსახურეთა. საზოგადო კრებები მთელი წლის განმავლობაში შედგა ექვსჯერ. მოხსენებები კეთდებოდა პარტიულ მუშაობაზე, ეკონომიურ კრიზისებზე, ევროპის მუშათა მოძრაობაზე და სხვა. ცენტრიდან კრებებზე მოდიოდენ ამხ. ნ. რამიშვილი, ვ. ჯუღელი, ი. სალაყაია, მ. ხოჭოლავა, მ. ფარდოიანი, კ. გვარჯალაძე, ს. თევზაძე.

კოლექტივთან არსებობს სომხური სექცია, რომელიც მართავს სომხურ ენაზე მოხსენებებს, ავრცელებს გაზეთ „ბანვორ ძაინს" და ყოველნაირად ხელს უწყობს გაზეთის არსებობას. რაიონის კოლექტივის თაოსნობით გაიხსნა ავლაბრის მუშათა კლუბი, სახალხო უნივერსიტეტი, მუშათა კლუბის თეატრი, კოლექტივის მეცადინეობით ქალაქმა გახსნა ავლაბრის იაფ ფასიანი სასადილო, კოლექტივთან არსებობს აგრეთვე ქალთა ორგანიზაცია, ბავშვებისა და დედობის მზრუნველი საზოგადოების უფასო კონსულტაცია, რაიონის სოციალური დამხმარე საზოგადოება, რომელიც დაკავშირებულია თფილისის ცენტრალურ სოციალურ დამხმარე საზოგადოებასთან, კოლექტივთან არსებობს მკერავ ქალთა პროფესიონალურ კავშირის სექცია.

რაიონში არსებობს პროფესიონალური კავშირები საპნისა და ზეთის მხარშავ მუშებისა, „სურსათის საქმის" მუშებისა, რომლის წარმომადგენლები დაკავშირებული არიან კოლექტივთან.

ყოველ საჭირო დროს კოლექტივი აარსებდა თავდაცვის კომისიებს, რომლებიც ფხიზლად დარაჯად უდგენ რაიონში რევოლიუციონურ წესრიგს დაცვას. ასეთი კომისია არის ამ ჟამადაც.

კოლექტივმა შექმნა სარეზერვო არმია პარტიის საუკეთესო წევრთაგან. ეს არმია ყოველ საჭიროების დროს იარაღით ხელში გამოდის და დღე და ღამ იცავს სხვადასხვა დაწესებულებებს რესპუბლიკისა და მუშათა ორგანიზაციებს.

კოლექტივმა მოაწყო პოლიტიკური გამოსვლები ბათუმის საკითხის გარშემო 19 მარტს, 1 ლ მაისს, 26 მაისს, ფრონტის დღეები, 12 დეკემბერი გვარდიის დღე და სხვა.

კოლექტივთან სრული კონტაქტით მუშაობს ავლაბრის უბნის სახალხო გვარდიის შტაბი. პარტიული მუშაობა გვარდიელებს შორის ნორმალურად ვერ მიმდინარეობს. ამას ხელს უშლის ხშირ ხშირად ფრონტების გახსნა.

კოლექტივმა რაიონში მოაწყო გორის მაზრისა და გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა კომიტეტი, რომელმაც შეაგროვა ფართო შემოწირულებები და გაგზავნა მთავარ კომიტეტში, რაიონის კომიტეტში. კოლექტივმა ამუშავა ავლაბრის მოწინავე ქალები, რომლებიც ენერგიულად გამოეხმაურენ რაიონულ კოლექტივის მოწოდებას. არსებობს სხვადასხვა კომისიები, საპროპაგანდო, საფინანსო, კულტურულ-განმანათლებელი და სხვა.

25 იანვარს კოლექტივის არჩევის დროს რაიონში ირიცხებოდა პარტიის 600 წევრი, ამ ჟამად მესამე რაიონში ირიცხება 1339 პარტიის წევრი. აქედან საწევრო გადასახადს იხდის 700 კაცი სისტემატიურად, დანარჩენი იხდიან უწესრიგოდ, რასაც პარტიულ კასაზე ცუდი გავლენა აქვს. პარტიის წევრნი ეროვნულად დანაწილდებიან შემდეგ ნაირად: ქართველები 661, სომხები 576, რუსი 78, პოლონელი 4, ებრაელი 4, მუსულმანი 4, ბერძენი 1, ოსი 2, გერმანელი 1. სამუშაო დარგები: ქარხნის მუშა კვალიფიციური 347, მკერავი ქალები 174, წვრილი ვაჭარი 41, გვარდიელი 65, უსაქმო მუშა 68, დურგალი 34, მალიარი 6, მექვაბე 10, მექანიკი 12, ნოქარი 15, მსახიობი 1, მზარეული 21, მეეტლე 5, ვექილი 1, აფიცრები 5, ფარმაცევტი 6, მილიციონერი 15, პარიკმახერი 15, მეწაღე 101, ჯარისკაცი 30, მესაათე 1, მეპურე 48, სტუდენტი 9, მექუდე 9, ტექნიკოსი 3, მიწის მუშა 13, მომვლელები 15, ასოთამწყობები 9, მემანქანე 7, ფელდშერი 2, ბეითალი 1, მეეზოვე 7, დალაქი 4, ყასაბი 7, წვრილი მოხელე 50, მეოჯახე ქალი 32, დარაჯი 8, აქედან წერა კითხვა იცის 893 კაცმა, არა მცოდნე 300, საშუალო სწავლით 50, მაღალი სწავლით 8.

ფინანსიური მხარე კოლექტივისა მთელი წლის განმავლობაში ასეთი იყო: პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდის საწევრო გადასახადებიდან, საწევრო წიგნაკებიდან, ერთდროულ გადასახადებიდან, კოლექტივის სასარგებლოდ დადგმული წარმოდგენებიდან, შემოწირულებებიდან სულ 54329 მან. და 33 კაპ.

გასავალი: თფილისის კომიტეტს მარკების, წიგნაკების, ცნობის ბარათის ოქმების, სარეგისტრაციო წიგნებისთვის, ჯამაგირი მდივანს, წვრილმანი ხარჯები სულ 49689 მან. 1 ლ იანვრის 1921 წლისათვის კასაში არის 4650 მ. 33 კ.

კოლექტივთან არსებობდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომელიც კოლექტივმა დაშლილად გამოაცხადა, ამ ჟამად ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია აღდგენილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც განახლებულ კოლექტივმა უკვე აირჩია ორგანიზაციის მომწყობი კომისია.

განახლებული კოლექტივის სხდომა შესდგა 22 იანვარს, სადაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი.

ვერხვი.

მუშათა შორის

თფილისი. თამბაქოზე მომუშავეთა პროფ კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა ფაბრიკა ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოების მეთამბაქოთა სექციას, რათა მათ პირველ თებერვლამდე შეიტანონ ხვედრი გადასახადი, იმ დეფიციტის დასაფარავად, რომელიც გამოწვეულია მუშათა მაგიდის მიერ მუშებისადმი შემის დარიგებით (თითოეულ მუშა-მოსამსახურეზე 2000 მანეთი).

ფოთი 23 იანვარს მოწვეული იქნა (სხდომა) საავადმყოფო კასის დამაარსებელ კომისიის ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის და თვითმართველობის წარმომადგენელთა. განხილული იყო საკითხი საავადმყოფო კასის დაარსების შესახებ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ს. პაიჭაძე მოახსენებს სხდომას ფოთში საავადმყოფო საქალაქო კასის დაარსების აუცილებლობაზე, ხოლო ვინაიდან ერთი ცენტრალური კასის დაარსება ფოთში ახლავე არ შეიძლება, არჩეულ იქნეს ქალ. თვითმართველობიდან ავტონომიური კომისია, რომელიც მიზნად დაისახავს უხელმძღვანელოს მის დაარსებას.

წესდების განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ქალაქის მუშა მოსამსახურეების სამი მეოთხედი დარჩება კასის გარეთ, რაც კრებამ მწუხარებით მოისმინა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: საავადმყოფო კასის დაარსება ფოთში მეტად საჭიროა, ხოლო წესდება, ვინაიდან ის შედგენილია ჯერ კიდევ 1912 წ. და მცირედი შესწორებანი შეტანილია 1917—1918 წლებში, რომლის მიხედვით მოსამსახურეებისა და მუშების სამი მეოთხედი ნაწილი რჩება კასის გარეშე, კრება ადგენს ეთხოვოს ფოთის კავშირთა საბჭოს, რათა მან აღძრას შუამდგომლობა კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა და ცენტრალურ საავადმყოფო კასის საინიციატივო კომისიის წინაშე, რათა თანახმად კონფერენციის დადგენილებისა დაჩქარებით განხილულ იქნას წესდება საავადმყოფო კასების შესახებ და ამით ერთი მტკივნეული მხარეთაგანი მუშა-მოსამსახურეებისა დაკმაყოფილებულ იქნას დაჩქარებით.

მარნელი.

დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოება.

დღითი-დღე სიძვირის ზრდისა და საზოგადოების დახმარების მსურველთა რიცხვის გადიდების გამო, საზოგადოების ბიუჯეტი საგრძნობ თანხამდე გაიზარდა—3 913.000 მან. თვეში.

ხარჯთ-აღრიცხვის ცალკე მუხლებით გასავალი განაწილებულია ასე: 1) „ანდრიეკა ჟორდანიას სახელობის ბავშვის სახლი" მუშტაიდში—558 000 მან., 2) „ორთაჭალის ბავშვთა სახლი" 1,558,000 მანეთი, 3) საზოგადოების სარძეო ფერმა 290 000 მანეთი. 4) საზოგადოების მიერ მიწ. მოქმ. სამინისტროდან იჯარით აღებული აბანო—830.000 მან. 5) საზოგადოების საქმის გამგეობა—250 000 მანეთი. 6) ბაგეები ფაბრიკებში—37 000 მან. ქალაქის სხვადასხვა რაიონებში კონსულტაციები—280 000 მანეთი. 7) სარძეო სამზარეულო 80 000 მანეთი. სულ გასავალი—3.913 000 მანეთი.

საზოგადოების შემოსავალი გამოიხატება შემდეგ ციფრებში: 1) საზოგადოების მიერ იჯარით აღებული აბანოებიდან—1.762.000 მან. 2) საზოგადოების სარძეო ფერმა—373.000 მან. 3) თამბაქოს ფაბრიკანტთაგან შემოსავალი—65,000 მან. მთელი შემოსავალი 2.200.000 მანეთი.

ამ რიგათ საზოგადოების თვიური ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 1 713 000 მან. საზოგადოება არსაიდან არ ღებულობს დახმარებას და მიისწრაფის ხსენებული დეფიციტი დაფაროს წარმოდგენების ორგანიზაციით: გახსნილ იქნა სინემატოგრაფი. ეხლა საზოგადოება ხსნის ფურნეს. გარდა ამისა საზოგადოებას იმედი აქვს, რომ მოქალაქენი თავიანთ შემოწირულებებით მხარს დაუჭერენ საზოგადოებას დედათა და ბავშვთა დახმარების დაწყებულ საქმეში.

უკანასკნელად ოქტომბრის 15-დან საზოგადოებაში შემოვიდა შემდეგი შემოწირულებები:

1) მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოებიდან ერთდროულად: 600 000 მან. და ყოველ თვიურად 65 000 მ ნ.

2) არდაგანის ოლქის მოქალაქეთაგან ოლქის კომისრის გვარამაძისა და კაგრიმანოვას ხელით—4 000 მანეთი, ბ-ნ [illegible], გულანბეკოვამ, რიზა მუსტაფა ოღლიმ კაბაშიძემ—5000 მ.ნ. თითომ. ფაჰრატ ოღლიმ, კაგრიმანოვამ, სულეიმანოვამ—10 000 მანეთი თითომ. ვაშალომიძემ—20,000 მ ნეთი. ხიმშიაშვილმა—30000 მანეთი, კალდინამ—200,000 მანეთი, კარიმანოვამ—2 ცხვარი, ხიმშიევმა—1 ძროხა და 2 ცხვარი, ბაგრატ ზადემ—1 ძროხა და 3 ცხვარი, კარიმანოვამ—2 ცხვარი, გაჯიევმა—1 ცხვარი, არიფ ალი მურადხანელიმ—2 ცხვარი, აბაშიძემ 30 ცხვარი და ერთი ძროხა. სულ ფულათ—312,000 მანეთი 43 ცხვარი და 3 ძროხა.

მახლობელ აღმოსავლეთში ამერიკის დახმარების წარმომადგენლებისაგან—120 000 მანეთი.

საზოგადოების „ბავშვთა სახლებში" შობის ხისათვის გურიის ერობიდან 10 ფუთი ვაშლი, რკ. გზის სასურსათო კომიტეტიდან 10 ფუთი ვაშლი, 1 ფუთი პოვიდლო და კონსერვი. ლევანდოვის ყოფილი გიმნაზიის ბავშვებიდან შემოვიდა წიგნები და სათამაშოები.

მ მორდკინმა შემოსწირა ნივთები, რომელიც დარჩა მის მიერ გამართულ შობის ხიდან—მათ შორის ბალალაიკა და ტანისამოსი.

ომისა და სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთა ლიტერატურულ დამხმარე ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ კომიტეტმა ბაზირკევიჩის ხელით—10,000 მანეთი.

ქ-ნ მიასოვისამ გარდაცვლილ ძმისწულის მეროიკოს ხსოვნის აღსანიშნავად—5000 მანეთი.

კავშირების ხელით შემოვიდა შემოწირულებები შეგროვილი ახალი წლის შეხვედრის დღეს თამადის ა. ს. არუთინოვის ინიციატივით შეგროვილი—4000 მანეთი.

სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების მომხმარებელ განყოფილების მიერ მოსამსახურეთა შორის შეგროვილი—700 მანეთი.

ელენე სივოლეროვისაგან—1000 მან.

დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთა და დაწესებულებებს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს საზოგადოებას მისთვის ასეთ მძიმე დროსა და პირობებში.

ჩვენი ფოსტა

გრიშა გუბელს. თქვენი ლექსი—„სამშობლოს დარაჯი" არ დაიბეჭდება. ლექსთან ერთად „წერილის დასაბეჭდავათ" მიღებული 100 მ. გადაეცა თავდაცვის ფონდს.

რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

ექიმი

ი. პ. ხანდამოვი

სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიული და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (7 თებ.)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

კ ე რ ძ ო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

ე. მ. მძინარიშვილისა

შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულებათა

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ბოკერიასი

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროჟექტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლი ავადმყოფების და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—თებ.)

ექიმი

მ. ა. შაურაძე

სპეციალურად სიფილისი და კანის (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებისა 4—6 [illegible] № 33 (13 თებ.)

სამკურნალო

ქირურგიული, ვენერიული და სიფილისის ავადმყოფობანი ექიმის

მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ, საღ. 6—8 საათ [illegible] ტელეფ. 7—91

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფებს დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (შეშ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მთაწმინდის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7 თებ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 10—12 ნაშ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 16—თებერ.

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—გულის და ფილტვისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 22, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 28 იანვ.

ექიმი

ანდრია მიხეილის ძე

ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. [illegible] ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ, ტელეფონი 12—46. 22—თებ.

ექიმი

ა. გ. მართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებანი (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიღებები: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალების 2—3 ს. [illegible] ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე. რკინის გზის მოსამსახურეთა და ღარიბთათვის უფასოთ. (29—თებ.)

ქალის ექიმი,

ნიკოლოზ [illegible] ძე

ხორავა

იღებს ქალის ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღის ქ. კუთხეზე) სახლი № 1, მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (22 თებ.)

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ მიწათ-მოწყობილობის განყოფილების საწყობში, მუშტაიდის ბაღში მიიღება გასაყიდად ძველ-ძველი ნაბდები, „პოლუშუბკები" და „ვალინკები" ფასები ხელმისაწვდომია. (405—2—1)

ვაკეზე იყიდება

„ურასტკა" მიწა 400 ოთხკ. საჟენი სახლით და სხვა შენობებით. ცნობები იქვე ბეკეთან (აგურის ქარხნის პირდაპირ) დღის 4 საათიდან, ან [illegible] რუსთაველის პრ. № 6. (4:0—2—1)

თფილისის ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ თანახმად ქალაქთა საბჭ. ხმოსნ. არჩევნების დებულების მე 9 და მე-10 მუხ., ხუთი დღის განმავლობაში 2 თებერვლიდან 6 თებერვლამდე ჩათვლით იქნება საყოველთაო განსახილველათ გამოფენილი საარჩევნო სია 1921—1923 წლების ქალაქის ხმოსანთა ამომრჩევლებისა შემდეგ ადგილებს (საკომისარიატოთა ბიუროებში).

1 საკომისარიატოში—ქალაქის სასწავლებელში, ოლღის ქ. № 53.

მე-2 საკომისარიატოში—ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში, [illegible]რის შესახვევი № 8.

მე-3 საკომისარიატოში—ქალთა მე-3 გიმნაზიის შენობაში, თოიძის ქუჩა.

მე-4 საკომისარიატოში—სახელოსნო სასწავლებლის შენობაში, [illegible] მოედ.

მე-5 საკომისარიატოში—ქალაქის სამკურნალოში ვორონცოვის [illegible]

მე-6 საკომისარიატოში—ყოფ. [illegible] თავშესაფარში [illegible]ვის ქ. № 63.

მე-7 საკომისარიატოში—ავლაბრის მუშათა კლუბში.

მე-8 საკომისარიატოში პირველ კომერციულ სასწავლებელში კოლონის ქ.

მე-9 საკომისარიატოში—ქალაქის სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. № 8.

მე-10 საკომისარიატოში—სახალხო სახლში, კარის ქ.

მე-11 საკომისარიატოში—ნაძალადევის თეატრში.

მე-12 საკომისარიატოში—რკინის გზის სასწავლებელში [illegible] ქუჩა.

მე 13 საკომისარიატოში—[illegible] თეატრში.

ის მოქალაქეები რომელნიც [illegible] საარჩევნო სიებში, [illegible] დოკუმენტებს [illegible] საარჩევნო ბიუროებში შესატანათ.

საარჩევნო წარმოდგენილ ქალაქის გამგეობის მიერ მიცემული მოწმობის მობინადრეობის შესახებ, ან [illegible], რომ ის მცხოვრებია 1914 წლის 19 ივლისამდე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში რომელიმე ერთეულზე, [illegible] ა) სოფლის საზოგადოების, [illegible] ბ) [illegible] ლიგო-წოდებაზე და გ) თავად აზნაურობის საზოგადოებაზე.

საკომისარიატოს ბიუროები აღნიშნულ დღეებში ღია იქნებიან დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

(5. 3—2)

[illegible] სტამბა. გრიბოედოვის ქუჩა №